

# გაზაფხული

საქართველოს  
საბჭოთაო კავშირი

№ 18—19  
1934 წ.



საქართველოს  
საბჭოთაო კავშირი



პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით

ქართული  
სოციალიზმი

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველდღე  
12-მ საათამდე. მისამართი: წულუკიძის ქ. 4

ორკვირეული მასიური სამხა-  
ტვრო პოლიტიკური ჟურნალი

# დ რ ო შ ა

## № 18—19

ტფილისი

გაზ „კომუნისტის“ გამ-ბა

## 1934




### შ ი ნ ა ა რ ს ი

- ა. მაშაშვილი — ენგური (ნაწყვეტი პოე-  
მიდან).
- ა. ჭუმბაძე — ილეკის ჩანჩქერი.
- ლ. ქიქოძე — ნიკოლაძის ატელიუმში.
- ტ. აცანელი — იალღებზე (ნარკვევი).
- ფირდოუსი — ლექსი.
- პ. ჩხიკვაძე — ნადირობა.
- შ. აღმაშვილი — კინო საქ. ხელის-  
უღლების დამყარებამდე.
- შოც. მკითხველი. — მოცლილი მკითხვე-  
ლის შენიშვნები.



რუსი მხარალი ი. ერემგურბი. მწერა ღთა საკავშირო ყრილობის ტრიბუნაზე.

პ.-მგ. რედაქტორი: ვ. მაგავეარიანი  
სარედაქციო კოლეგია: კონსტ. ლორთქიფანიძე, გრ. მუშიშვილი,  
აკ. გუგუნი, ლევ. ასათიანი, ალ. სულავა



ნანევეტი ჰოეშიან

მარტოდ-მარტოა, თავჩაკიდული,  
 ზის და კითხულობს წიგნებს ხშირ-  
 ხშირად,  
 დღეც, როგორც გვერდი  
 გადაკითხული  
 დღეს ემატება, რხევით შრიალით.  
 ისევ უძწეო და უსაქმოა,  
 არვინ ნახულობს, არვინ უძახის,  
 თითქოს ოთახი სატუსაღოა,  
 თვითონ — ტუჩალი!  
 ესლაც სარკმელთან ზის — და  
 ბაღს გადაჰყურებს ნოხით  
 მოფენილს,  
 მის წინ ჭადრის-ხე ტოტებ  
 გაშლილი  
 დგას — და ხელს უქმევს ყვითელ  
 ფოთლებით!  
 გარეთ შუადღის მზეა-და,  
 სიციხავს  
 ბუნებას, ბაღს — და ფოთლების  
 ლაყვარდს,  
 უცებ გაიღო კარი — და  
 მკვირცხლად  
 შემოიჭყიტა მეზობლის ბავშვმა:  
 — შენა ხარ რამაზ?  
 — აი, მე რა მაქვს!  
 — ვინ მოგიტანა?  
 — მამამ...  
 — ტყვიები თუ გაქვს?  
 — როგორ არა მაქვს, გესვრი თუ  
 გინდა.  
 გასწიე თავი, გასწიე თორემ...  
 ძლივს აიციდინა შალვამ ტყვია — და  
 ისევე ბავშვისკენ შემოტრიალდა,  
 ბავშვს კი თვალების ბრწყინვა —  
 ციმციმით)  
 უხარია-და კედება სიცილით:  
 — ესლა წავალ და ჩიტებს  
 დავხოცავ,  
 შენ არ წამოხეულ?  
 — არა.  
 — რატომ.  
 — არ შემძლია.  
 — რატომ?  
 — ავთ ვარ.  
 — რატომ?  
 — ფენი მტკივა.  
 — რატომ გტკივა ფენი?  
 — იმიტომ, რომ

პერბენდიკულიარულია!  
 ბავშვს ამ სიტყვაზე აუტყდა კიდეც  
 სიცილ - კისკინი და იბერება,  
 კუნტრუმ - კუნტრუმით იცა  
 დერეფანს  
 და კისრისმტვრევით ჩავიდა კიბე:  
 „შალვა, ჩიჩია, რა ზარმაცი ბიჭია,  
 სანადიროთ აღარ მოდის  
 სახლში ყოფნა ირჩია“.  
 მიიმდეროდა ელურტულით ბავში  
 და ასკინკილით მიხტოდა ბაღში!  
 —:—  
 დიდხანს უყურა ბავშს, თამაშობით  
 ბაღს რომ იკლებდა გახარებული,  
 და მოაგონდა თავის ბავშობის  
 დრო სიზმარივით გაქარვებული,  
 იგი დრო-შავი, დრო საღონარი,  
 და მინც ტკბილად მოსაგონარი:  
 აი, შეყრილან გოგო-ბიჭები  
 ჯოგი შორს სადღაც გაფანტულია,  
 ურამულობენ და გაგიჟებით  
 რიკდაფელობა გამართულია.  
 მის წინ ჰავა დგას, თვალებს  
 მხიარულს  
 ხარბად ჩასცქერის ბავშურ  
 ღიმილით,  
 ხედავს:—საკუთარ სახეს ჭკვიანურს,  
 ეს მის—საკუთარ თმების ბიბინი!  
 მაგრამ სერიი ამ დროს თუ გინდათ,  
 სადღაც გამჭარალან ცელქი  
 მწყემსები,  
 უცებ აართვა ქალმა ქული-და  
 გარბის—აბაჰი, თუ დამეწევი!  
 გამოეკიდა, მისდევს ნიადაგ  
 და ორივენი სადღაც მირბიან,  
 ჰავა წაიქცა, წაკოტრიალდა,  
 ბალახს ვაება, როგორც ნიბლია!  
 ეცა, მებოჭა ქალის სხეული  
 თხრილში პირაღმა წამოქცეული,  
 გულმკერდი ოდნავ ამოწეული  
 ხელის მუჭაში ჰყავს მომწყვდეული!  
 ატყდა, აემდგრა მთელი სახე—და  
 დაეყრდნო, იგრძნო სუნთქვა მხურ-  
 ვალე,  
 თითქოს—და, შინის ამოსაყრელად  
 ქალს დაეწაფა ტუჩზე მწყურვალედ!  
 ჰავა წამოხტა, თვალებორჯებით  
 ზვერა დაუწყო ირგვლივ მიდამოს,  
 მისინჯ-მოსინჯა კაბის ფორცებით

ხანძარი ხომ არ წამეკიდაო!  
 გამოვლევნა, გულალტკინებით  
 „მაპატიეო“ თხოვდა დუღუნით,  
 ქალი ხელსახვევს კვნიტლა  
 კბილებით  
 და მიდიოდა შინ გაბუტული.  
 სდუმდა.. სიავით ქროდა სიო—და  
 ცა გუგუნებდა, როგორც დუმელი,  
 ზღვაზე გუნდ-გუნდათ ამოდირადა  
 ზღვის ფრინველებს  
 შავი ღრუბელი!  
 და იღვა ღარი უამინდობის,  
 ყრუდ წკრილებდენ წვიმის  
 წვეთები,  
 თვალწინ ლურჯისფრად ევიო  
 მინდორი  
 თვალვიით ვრცელი  
 და შორსმკვრეტელი!  
 რა კარგა იყო ეს თამაშობა,  
 ეს გულუბრყვილო აზრი, ოცნება,  
 რაუბრუნებელ დღეთა ბავშობა  
 და სიყვარულის გასხვივონება?  
 მართლა: ცხოვრება გზებს ედარება,  
 გზებს, გადაკითხულს როგორც  
 სტრიქონებს,  
 რა უმაღლესი ნეტარებაა  
 როცა ბავშობის დღეებს იგონებ?  
 ფიქზე ქალამნით, ტანზე შინელით,  
 ხელნი საყვარელო წიგნთა კრებულით  
 მუშვავს მიაღვა კომპაგვირელი  
 უმაღლეს სწავლას, მოწყობილი,  
 თიქვსმეტს მორჩა და... ჩადვა  
 ჩვიდმეტნი,  
 ულამზე ოდნავ ამწყვანებული!  
 ის მუშა იყო, მიწის ფენიდან,  
 ზრდილი ნადურის  
 ტკბილ სიმღერებით,  
 მიწის ხმა ჰქონდა, მიწის ფერი—და  
 მიწითვე ჰყარდა მისი ხელები!  
 შემდეგ? შეჯობრი,  
 შეგმა სწორებთან,  
 წიგნ-ცხოვრების ციხეთ აქცია!  
 სახელორხვეტილ პროფესორებთან  
 ქარაიის პროექტის დისერტაცია!  
 ფიქრობს, გასცქერის,  
 ბაღს ნაღვლიანად,  
 უცებ, სარკმელა გახსნა ნიავმა:  
 ხელი ნემოჰყო ჭადრის-ხე  
 ფრთხილად

და შალვას თავზე წაუბოტინა!  
შეკრათ, ხემა თითქოს რაღაც აცნობა-  
განა მის კაცის დარდი არ ესმის?  
ხის ლმობიერი ეს თანაგრძნობა  
ემა როგორც დედის ალერსი.

...ბო ბრძენა ხარ, ხეო დიდი ხარ,  
საუკუნეებს უძლებ სიმაგრით,  
უკან ვერ იხევ, წინ გერ მიდინარ,  
მაინც იზრდები სიღრმით.

სიმაღლით!  
მე კი ჩემშივე ვარ მომწყვდეული.  
სული მიხუთვის, სუნთქვა მიძივა,  
თითქოს-და, კუნთი ჩემი სხეული  
ჩემივე სულის საპყრობილეა!  
ჩემში „მე“ ცალკე გამოყოფილა,  
გბრძვის გულსა და:

სხეულს შორდება,  
ვაჰმე, რა ძნელი საქმე ყოფილა  
თავისი თავის წამოჩოქება?  
საუბრე სჯობია ათასთან ბრძოლა,  
ჭიდრე საკუთარ „მე“-სთან  
გასწორდე,  
კაცი დაკარგავს ყოველგვარ  
გრძნობას,

თავდაცვის გრძნობას კი არასოდეს!  
როგორ მსურს ვიყო დაუცხრომელი  
კვლავ ვამიტაცოს ხარბმა ბრძოლამა,  
მეწოდოს გმირი ახალ ცხოვრებას  
და ვატეებდე ხალხის მომხალს,  
თორემ რათ მიღირს ყოვნა ონავარ,  
თუ კი შრომის-და

ბრძოლის მონა ვარ?  
საქმე ის არის, კაცმა დოიანდელ  
დღის გადალახვა შესძლოს, გაბედოს,  
თვალი თუ წვედება

ვარსკვლავებამდე,  
რა უჭირს ხეალს დღეს რომ  
გახედოს?

აი, წამი ლა... მორჩა, ვაქტრები,  
ვაჭრება ჩემი აწმყო, მერმისი,  
გამამტყუნებენ ამხანაგები  
ასეთ უმსგავსო საქციელისთვის!  
რა ვქნა? ტყვე გავხდი

ბრმა დაბრკოლების,  
ძნელია გულს-რომ გრძნობა

შებორკავს  
ჩვენ თუ ეპოქას ვაღწევთ გონებით,  
გრძნობით ჩამოვრჩით მაინც ეპოქას!  
ხომ შეიძლება დიდებს, პატარებს  
ერთი გზა ჰქონდეთ, ერთი მიზანი,



პოეტი ა. მაშაშვილი

□ □ □

მაინც სხვადასხვა ფიქრებს ატარებს  
ხალხი სხვადასხვა სიმაღლისანი!  
არ ვიცი ეს გზა და ეს სილაჩრე,  
შიშის ბრალია თუ სიამაყის,  
დამნაშავე—ვარ მე ჩემს წინაშე,  
ვით ჩემ სიკვდილში ეს იარაღი!  
(მე ხომ მსხვერპლი ვარ არა შემ-

თხვევას  
არამედ კაცთა დაუდევრობის).  
ჩხ, ჩემო თავო, გეყოფა ბოდვა,  
რა გინდა, რა ხარ, მაჩანჩალა—ხარ,  
იმას მიეზლოს ეს ჩემი ცოდვა,  
ვინც მე ამრიგად გამაჩანავა!  
ხელი დაარტყა მაგიდას ძალად  
ყელზე მოწოლილ ბოლმას ჰყიოდა,  
სტრიქონზე ძალით შემტვრეულ კა-

ლამს  
ჯერ კიდევ მელნის სისხლი სდიოდა!  
ბნედა მოაწვა თავში—და თვალთა...  
ხელი უბისკენ მიაქვს კანკალით,  
---ვაჰ, დიაჩქომი! ხრიალით თქვა და,  
ძოივს მიიტანა ყურზე ნაგანი...  
უცებ:

შეაქროთ ნაცნობმა ხმამა,  
ნაგანს სასწრაფოდ მალავს. ტრია-

ლებს.  
კარს შემოარღვევს, შემორბის მამა  
და ჯოხით ქალღმრთელს მოაფრიალებს:  
— შეილო შალიკო, სად ხარ აქამდე,  
იქ მოგელიან, რაღას აპირობ.  
ჩვენმა ქარხანამ უკვე ქალღმრთელი...  
აი, შეხედე გოლუაფირო!

— ქალღმრთელი? როგორ, ეს რამ  
გვადირს?

ეს ხომ პირდაპირ სეპარატული  
მაშ ამდენ ჯაფას...  
ხისას

სიანს, უშედეგოდ არ ჩაუვლია.

— ჰო და თქვენც გერგოთ ამ  
ჯაფაშიაც

ხალხმა, ქარხანამ ერთხმად ითხოვეს,  
შენ, ინჟინერი, და ჯანაშია  
შრომის ორდენით დაგაჯილდოვეს!  
— ორდენი, ხალხმა, მთელმა ქარხა-  
ნამ?

და შალვამ ამ დროს ხელის საგსავით  
ისე ხმამაღლა გადინარხარა,  
რომ ფანჯარამაც იწყო ზანზარი!  
— ნუთუ მოვესწარ ჩემს ნაყოფიერ  
შრომას, რომელიც ფაქტად ქცეულა?

ქალღმრთელს დაუწყო კოცნა გრძნობიერ  
გაგიყვამდე აღტაცებულმა.

— ხალხი ბევრია?

— ქარხნის გულისთვის  
თავმოყრილია მთელი სოფელი,  
ლელავს, ხმაურობს ხალხი ურიცხვი,  
სიხარულია განუზომელი!  
გენახა როგორ გაისმა მამინ

განუწყვეტელი ვაშა-და ტაში.  
როცა ერთ-ერთი მუშის კარნახით  
ენგურ-ქალღმრთელის პირველ ნიშნულზე  
სიტყვა დავწერეთ, ქარხნის მუშებმა  
და გავუგზავნეთ სტალინს პატაკი!

რა გარდატეხა ხდება ერებში,  
მახსოვს ძველი დრო, ძველი წესები  
ეხლა? (სითხითებს) ამ სიბერეში  
მგონი სოციალიზმს მეც მოვესწრები!

ხალხი დაიძრა ენგურისაკენ,  
გზაზედ მხიარულ ჰანგებს მღერიან,  
ქარხნის გახსნასთან დაკავშირებით  
მთიდან ტივების ტალღებს ელიან!  
შვილს ჩასცქეროდა მამა

მხნეგულით,  
შენც „გამხნევილი“ ხელი მოხვია,  
გამოცვლილია, განახლებული,  
გლეხის გული-და, ფსიხოლოგია!

— მამავ, მოვდივარ, მომეც სალათი,  
მას რახანია შეკადში ვინახავ,  
ახალი ქუდიც, ჩემი ახალი  
ფეხსაცმ... წამოცდა შალვას

კინალამ  
და შემოაწვა გულზე ბალღამი!



# იქვეს ჩანჩქერი

საქართველოს მწერთა კავშირი

მთის უბნები ბინდის ლაინს შეე-  
ბორბლა. უტეხ ნაძვარის აყრილ  
ქეროზე აქა-იქ ნისლის ქულები გა-  
ბნეტილიყო. შავი ტონის ხრამს ვერ  
ცხლის ქსოვილი დაპკიდებოდა  
ილეკის პატარა ჩანჩქერი. ხოლო  
შორს, სტოკპოლმის მხარეს, უდა-  
ბურ ტყეთა წიაღიდან, ციკლოპის  
კენტი თვალვით კიაფობდა მოსის-  
ხლე მარხები.

სერსადამდვარნი უნებურად შეე-  
დევით, უხილავის ნახვამ უცრად  
დაახლოა ჩვენი ტუჩები: თვით გაგ-  
ვიკვირდა, როცა ერთმანეთს მოეწყ-  
დით, გულლიად შეეცინეთ და ხელ-  
ჩაკიდებულნი ჩანჩქერისკენ სიბი-  
ლით დავეშვიტ...  
ვიწროდნაკერავი კაბა სირბილს  
უშლიდა, მალი-მალ იკუნთებოდა.  
ნაფოტივით ავიტაცე, ბავშვივით ავი-  
ტატე და სირბილს უფროც ვუმატე  
მისი ქერა თმის ჩამომოლილი კულ-  
ღები საყელოში მიძვრებოდა,  
ტკბილ-მწვანედ მღუტუნებდა: მუხ-  
ლები შეკვეთებოდა, მაგრამ მაინც  
შეუსვენებლად მიეჭროდი.

აჰა, ჩანჩქერსაც მივალწიეთ... მის-  
ვლისას ნუკრიანი შველი გავა-  
ფრთხეთ.  
— ჩვენია, სასმელად ჩამოსულან.  
წამჩურჩულა ლაუნნი.  
ნაკადის პირას დიდი თეთრი ლო-  
დი ცვლო, ზევისგან ჩამონაგლეჯი.  
იმაზე დავსვი და მეც იქვე მოვიკე-  
ცე. სუნთქვას ძლივს ვიბრუნებდი,  
დატლილობისა და ლელვის გამო.  
ნარნარად წამოიწია, ოფლიანი შუა-  
ლი თვისი ცხვირსახოკით შემბორო,  
ყელსაბამი შემომხსნა და... ნიკაძევე  
ორის ითით, თითქოს უცაბედად  
მოუვიდათ, ოღნავე მიალერსა. მერე  
თავი ნახად ამიწია, ქვეშ გაშლილი  
ხელი დაუდო და კალთაზე დაისვენ-  
ა; მეორე ხელით აშლილ თმას  
მოიშავდა და, "სიერცეში თვალწარ-  
ტაცებულნი, რაღაცას თავისთვის  
ჩუროხულებდა, გაუგონელსა და გაუ-  
გებარს.

უოქმელი სიამით გათანგულმა  
თვალი მოვლულნი და გავყუჩდი,  
ყამი და სიერცე წარიშალა, ვგრძნო-  
ბდი, რომ სულში ნაკადივით გშეკ-  
ბოდა რაღაც ნანატრი და შეუღებ-  
ნელი. სადღაც რაღაც მტკილია,  
ტკბილად და მოუსვენარად, ლაუნნი  
კი ჩუროხულებდა, ჩუროხულებდა...

— რას ამბობ, ლაუნნი, რას ჩუ-  
როხულებ?

— ოღნავე შეკრთა, თითქოს სიზმარს  
გამოეგრევათ.

— აი, იმ ჩანჩქერის ლეგენდა მა-  
გონდება.

— ლეგენდა?

— დიახ. ვიკინგის ქალი იყო თურ-  
მე, ქედმაღალ სკანდინავიის ასული..  
როცა მეკობრეებმა მამა და ძმე-  
ბი დაუხოცეს, თვითონ აიღო პაპისეუ-  
ლი მძიმე ხმალი. ნაწი საომრად გა-  
ნაშავდა და აფრადღმართული შეა-  
ცურა ბალტიის უნდო ტალღებში.  
სამი დღე და სამი ღამე უგეზოდ  
ახეტიალა მოსისხარების ძებნაში.  
მრისხანე ქარიშხალმა იალქნები  
დაუფრიწა, ზღაორმა ორთაყვირა  
ნაფოტებად უტყავა: მიზანი მაინც  
არ დაუჯდია...

მეოთხე დღეს, განთიადისას, ბო-  
ბოქარმა ზღვამ გაცერცნილი ნაწი  
ერთს კუნძულს გაიყავა. ის-იყო,  
ხმელზე ფეხი უნდა დაედგა, რომ  
წია ზუზუნით ფრთიანი ისარი დაე-  
რქო. წამს მშვილდი მოიმარჯვა და  
ოთხი საშინჯი ისარი ოთხივე კუთ-  
ხით აფრინა. მერე ანახდად დაიხა-  
რა, დარქობილი ისარი ამოაძრო და..  
განცვიფრდა: ისარი მამისეული  
იყო!

საბრძოლველად განემზავდა: ჩაფ-  
ხუტი ჩამოიხიდა, ხმალსაც ფხა გაუ-  
სიჯა. მარჯვენა ფეხი რომ დაჰკრა,  
კოჭამდე ქვიშაში გაიარა. იდგა და  
ელოდებოდა. ისარი მწყვეტულად  
განმოიდა. ერთის წოთითაც არ შემ-  
დრკალა. ყიყინა რამ ესმა, ნახა,  
რომ ცხრა ვაჯაკი, ხმალომწვდი-  
ლი, სტენით მისკი მოილტვოდა,  
წინაპართა წარჩინებული სახელები  
ახსენა, ხმალი იშიმვლა. ერთი  
ცხრას მიეტია, ვით ლეკვიანი ძე-  
ლომი. მოსულთ რაკალი ჰქნეს, შე-  
მომესრეს „დაგინებდიო!“ — მიამ-  
ხეს, იუკადრისა. მარჯვნივ მივირდა:  
ერთს თავი ვაადგებია, მეორეს —  
მკლავი ხმლიანი. მარცხნივ სწვდა:  
ცალიერო ასპარეზი — ღა ნახა...

როცა პირი იბრუნა, მის წინ  
ჩრეული ვინმე აღიმართა, სვეტად-  
სული, თვალთ განზრმეს ერთმანე-  
თი. ხმლები დაავჯარვდნენ, სკა-  
ქალმა და ფოლადს დააკვესია. ჰკრა  
ვაჯაკი და მუხარადი მოგლიჯა. მოგ-  
ლიჯა და.. განცვიფრებული გაქცა-

და: მორკინალის შეგნებამ თვალი  
დაუბრმავა. ხმალი დაადგო, მუხლი  
მოიყარა:

— მზეო, მზეო, ეელარას ცხედავ!  
ქალმა დაგდებული საქურველი  
მოიყოდა და უბრძანა:

— დამიბრუნე მამა და ძმები!

— მთელ სამფლობელოს დაგიტო-  
ვობ, ტახტს დავსვამ და გეთაყვნები!

— მამა და ძმები! ან საკუთარი  
თავი!

— მარად და მარად გეყმობი, ვით  
შონა ყურმოჭრილი, ოღონდ... ოღ-  
ონდ მატნე ვინახო შენი.

— მე ილუკი მქვია, ესე იგი, გან-  
თიადის ნაშობი.

— ო. კურობეულ იყოს მშობელი  
შენი, მზის ასული! — მიუგო ვაჟმა  
და პირქვე დაეშო, — მიბრძანე შენს  
ფერხთა მტერს!

ქალმა გული იბრუნა:

— მამა და ძმები შენ დამხოცე,  
ჩემგან რაღას ელი?

— არა! მე უბრალო ვარ.

— მაშ, სად არიან?

— ჩემს ყმებს შეგმოდენ მარგა-  
ლიტის ნადავლისათვის, ფრენეთს  
ბატონისთვის რომ წაერთმიათ,  
ყმებს ეძლივნათ, ტყვედ წაეყვანათ  
და...

— მერე?

— ..ახლა ხელისწისქვილებს უსხე-  
დან ქერის საფქველად.

— გამყევ, მიჩვენე!

ვაჟმა ბუკი აყვირა. ელვის უს-  
წრადეს მაშველნი ეახლენ ერთის  
მარქავით. მარქავს ქალი შესვეს,  
თვით უკან მიჰყვენ. ცხრა ხევი გან-  
ვლეს, ცხრა კოშკით ვამაგრებულნი.  
მისაქველში ციხე იყო ცადაზიდუ-  
ლი, როცა გაღავანს მიუახლოვდნენ,  
ისარი გადააფრინეს ნიშნად მოყ-  
ვრული მისვლისა. აღმყალი მყის  
ფართოდ მოეფინა და წინ სეფე-  
ასულნი შეეგებენ ნაირნაირად მორ-  
თულნი. ქალი თავახით ჩამოსვეს,  
ფიანდაზი დაუფინეს და დარბაზზე  
ისე ვაატარებინეს.

ჰკვირობდა ქალი უთვალავ სიმ-  
დიდრესა და სახანახობას. ცქერა წა-  
რულო პატაროს თვალთა რაგინდ-  
რათერმა ციალმა.

მთავრის სამყოფელს შეიყვანა,  
საქურველი შემოსხნეს, ყარყუმი  
მოასხნეს. სადღეოდლო ტახტს და-  
ვეს, მუხლი მოიდრიკეს და ხრლად-

პყრობით უგალობეს დიდების საგა-  
ლობელი:

ქალის გული უნდა და ცვალებადი,  
ასე ამბობს ბრძნული კალევალა.  
როცა ბედის სასწორზე ქალწულმა ერთ მხარეს თავისიანების დათბრილი თვალები დასდო, მეორეს კი — მიძღვნილი ძვირფასი თვლები, საგანძურმა გადასწონა თურმე:

მაშინ სცეს ქოსსა და ნალარას. ანაზღეულად ქორწილი გაჩაღეს. მაგრამ ნაღვლის უმწარე ეჩვენა ქალს ზეიმის პური, რადგან იგი თვალდაკსილ თავისიანების ნაქვევი იყო. მოწყენა რომ შეატყეს, მიზეზი ჰკითხეს. თავისიანების ნახვა ისურვა. ჰკადრეს: ნუ ინებებო. არ დაიშალა. მაშინ მსლებლები იხმეს და გააყოლეს. საღიზიო გუნება სავალალოდ შეეცვალათ. განვლო დარბაზი თუ არა, სამყოფელს ბნელი მივიფინა.

ტალანი რამ გაიარეს, თავისქალეზით მოკული. ტალანის ბოლოს ჯიჯიღმული ნახეს. ჯიჯიღმულს კიბე ჩხსდევდა, ყაფარი და ნესტიანი. გარემოს უკუნეთი ბნელი მეფობდა. როცა ეჩხილილი აანთეს, ქალის თვალს საშინელება ეოცა: მიწურის ერთ კუთხეში ფეხმორთხმით იჯდა სამი აჩრდილი. წელზე ჯაჭვები ეჭირათ, რკინის სხვილ პალოებზე მიბმული. ქალს გონება მიეღო. „მამაო“ — ძლიერ უხმ. სამთა შუა მოხუცმა თავი ასწია. უფუგო და ჩაცვიფრული უბეები მიაპყრო.

— ვისი ხმა მესმის? (ჩხაღია თუ სიხმარი?)!

ქალმა თავს იცა, ატმის ყვავილი დაიკაწრა.

- იკელ! შვილო!
- მე ვარ, მამილო!
- ახლოს მოდი: უცნაური სუნის მცემს.

- ეგ ნელსაცხებელია, მშობელო. მოხუცმა ხელები მოუბოჩინა.
- თავს რა გხურავს?
- მთავრის გვირგვინი.
- ტანს რა გაცვია?
- ყარყუმის და პორფირის.
- მაგის უფლება რამ მოგანიჭა?
- სიყვარულმა.

მოხუცს უსასოო გმინვა აღმოხდა: ყველაფერს მიხვდა. ცივად მოიშორა. მერე მარჯვენა ალაპყრო და ასე წარმოსთქვა:

ო, მაშ, აგრე, უჯიათოვ, მტერს უდიმის ეგ თვალები?! ეგ თვალები, შუქნავლები, ბნელის ჩრდილით დაგებინდოს. არ გედროსოს ჩილვა მზისა; ოქროდ რომ გძღვნა დაღალები,


გზის გამყოლმაც უსინათლო გადაჩეხოს, არ დაგინდოს! და ეგ ტუჩი, ბროწეულის ციატ კოკრად რომ გეშლებს, კეთრის ჩირქით დაგეწებოს სამბოროდ მიტანილი; სატრფოც ზიზლით ხითხითებდეს, ვინძლო სახე შეგეშლებს, მნახველი თვალს გარიდებდეს, გაგიობრდეს ასე ნირი! უერთა ჰმენას მოკლებული ვერ არჩევდე ალერსს, კრულვას, მაქებას თუ გაუგებელს ვერ მიუზლო საკადრისი. ენა, ხოკად დაბობილი, გიმრავლებდეს მწარე ურვას, მამის სახელს ვერ ამბობდე; არც ეს გეყოს საკმარისი: მძიმე სევდით დათაღხულსა გიკვნესოდეს მარად სულო, ვერსად ჰპოო სანუგეშოდ სამეგობრო თბილი ხელო, ტკილი დედის გულციგობამ დაგინეროს ცხარედ გული, უსასოო, უთვისტომო ტანტალებდე, როგორც ხელი. როცა ამდენ ტანჯვის მნახველს გზად სიკვდილი შეგეყაროს, შენს ოდესღაც ტურფა სახეს გაუყვითლდეს შიშით ფერა, სამკურნალოდ მოტანილი თასი სიხლად დაგედვაროს, რა კი ახლა, მოლაღატვე, მტერს ახარებ შენის ცქერით!.. ვულწასული ქალი მსლებლებმა სინათლეზე აიტანეს. მკურნალებსა

და მისნებს უხმეს. თილისმები შებეს. მაგრამ ამაოდ. გავიდა ხასი. ქალს ჭირი უფროც გაუხმობდა: ატმის ყვავილი ბაიად შეეცვალა სიხვილი გულხოსო. ქალი უქმინისათვის თობად: ველარაფერმა არგო.

ერთხელ ნადირობა გაუძარტეს: იქნებ თვალის სეირმა გულის ყინული გაუღხოსო. ქორი მიმინო ააფრინეს, მეძებრები ტყეში შევალეს. უთვალავი ნადირი და ფრინველი დახოცეს. ქალს თითქოს გულისკარი გაეხსნაო. შესასვენებლად რომ ჩამოხდენ, მწვერებმა ანაზღეულად ირემი გამოაგდეს, მთავარი მყის შესჯდა. ცხენდაცხენ მივევტო. ნადირობა ეტერში შეიტყუა. დიდხანს ელოდენ. აღარ დაბრუნებულა. მაძებარნი დაგზანენს: დღეს დამეენაცვლებოდა, ღამეს კი — დღე: მისი ასავალ-დასავალი ვერ მიიკვლიეს.

ორმოცი რომ გახდა, მთავრის საყვარელმა მეძებარმა — ელვარამ ტევრიდან სამაჯურშებმული მკლავის ძვალი მოათრია: თორმე, კენების დროს, ვით ძველი ალთქმის აბესალომი, გრძელის თმით ხეს დაჰკიდებოდა: სვავთა და ყორანთა კერძი გამხდარიყო..

მაა შემდგომ ქალის პირი მხეს აღარ უხილავს: აი, იმ თეთრ კოშკში დაიმარხა თურმე და მარად უნუგემო ცრემლით მოსთქვამს თავის მუხთალ ბედს. სტირის და უმრეტო ცრემცილ ჩანჩქერ ედინება.



ამერიკელი ბროტმეჰანისონები, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა ჩელუსკინელთა გადარჩენაში მონაწილეობისათვის



ი. სტალინი

ი. ჩიკობავას ნამუშევარი ბიუსტი

საქართველოს  
საბჭოთაო  
საბჭოთაო



— ლენინის საუკეთესო მხატვრის მსოფლიო პროლეტარატის უდიდესი ბელადის ამხ. სტალინის პიროვნების ღრმად შესწავლის საფუძველზედ ი. ნიკოლაძე იძლევა ბიუსტს რომლის მსგავსი ნამუშევარი ჯერ განახლებულ ქართულ პორტრეტულ ქანდაკებას არ ღირსებია.

ამხ. სტალინის ბიუსტი ეს ახალი სიტყვაა ი. ნიკოლაძის შემოქმედებაში. მისი ლენინის, ფ. მახარაძის, პ. მელიქიშვილის ბიუსტთა შორის. მეოცე საუკუნის ახალი ფრანგული ქანდაკების ბუმბერაზ წარმომადგენლის ოგიუსტ როდენის შკოლის პრინციპებით შესრულებულია ამხ. სტალინის ბიუსტი;

აღნიშნულ ბიუსტის შესრულებას უდიდესი სიყვარულით მოჰყიდებია მცხოვანი ხელოვანი. მან პროლეტარიატს მიუძღვნა საუკეთესო შესრულებული პორტრეტი ბელადისა.

შორსმჭვრეტელობა, ენერჯია ბოლშევიკური სიმტკიცე, აი ეს თვისებანი პროლეტარიატის ბელადისა — უდიდესი ვირტუოზობით არის ჩაქსოვილი ამხ. სტალინის ბიუსტში.

სწორედ ამიტომ ჩასცქეროდა ჭაღრა ხელოვანი თავის საყვარელ ნაშრომს, ის გარს უვლიდა თავის შემოქმედებას, მას სურდა მთელი თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობა საყვარელ ბელადის პორტრეტში მოექცია და მართლაც არ მოსტყუებდა ის, მან ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ამოცანა, მან მოგვცა ბელადის ბიუსტი, რომელსაც მოუთმენლად მოელოდა საქ. საბჭოთა მხატვრობის გამოფენა თავისი მრავალრიცხოვანი მნახველებით.

ი. ნიკოლაძის ატელიეში დაიბადდა ახალი შედევრი ქართული პორტრეტულ ქანდაკებისა.

ლ. ჭიჭოძე

ახალგაზრდა სტალინი  
ი. ნიკოლაძის ბარელიეფი.



საქართველო  
საბჭოთა კავშირი

# გაგაუბე

გობთებისა და ჩობანდალის მთებზე მაშინ თოვლი არ იყო ამდნარი. ზუსტიანი ზამთარი ისევ მწარედ იკზინებოდა. მზის უაუსური სხივები ვეღარ ათბობდა უდაბნოს ვილებს. წმირად ჯანლი ჩაწვებოდა ხოლომე პთებს შორის. სადამოს ნელ სიოს ისევ მოჰქონდა კუპრევით შავი ღრუბლები. რამდენიმე საათის განმავლობაში მთელი მიდამო ზამთრის თეთრ საბანში ეხვეოდა.

ახალ თოვლთან ერთად გაუშინ მოიტანა გაზეთმა ეს ახალი ამბავი და იგი მომსკდარი ნიაღვარივით მოედო ფერმებს და ფარხებს.

— კონკურსი საუკეთესო მწყემსზე—აი რაზედ ლაპარაკობდენ და შეჯელობდენ მაშინ მწყემსები დიდსიზში, უდაბნოს ხევში, ალანდარში და ყარაღუჩის ვილებში.

გიორგი თევდრაშვილი, ნაბადში გამთხვეული, ხელში შამხანათ სდანაჯობდა თავის ცხვარს მინდვრად, როცა ეს ახალი ამბავი გაიგო.

— ძალიან კარგი საქმეა ეს კონკურსი—თითქოს თავისთავის ჩაილანაპარაკა გიორგიმ და მზრუნველი აფალით გადახედა ცხვრის ფარას რომელიც მადიანად ძოვდა ყორღში.

გიორგი იმ დღეს გვიან დაბრუნდა ფარხში. ცხვარი დაამინავა და თავის ამხანაგებთან საუბარი გააბა საუკეთესო მწყემსისათვის გამოცხადებული კონკურსის შესახებ.

— ამ კონკურსში გასამარჯვებლად, დაიწყო გიორგიმ, პირველყოვლისა საქირთა მუშაობა ისე დაუაყენოთ, რომ დოღი ასი პროცენტით ავიდოთ. ყოველ 100 დაგზოვილ ცხვირიდან 95 ბატკანი მივაფოთ და შევიწარუნოთ, გაზაფხოლზე დედაცხვარის (კოცხალი წონა ავიყვანოთ 32 კილოგრამამდე).

— 32 კილოგრამი რამდენია — შეესატყვა ერთ-ერთი მწყემსთაგანი.

— ორი ფუთი—გასკა პასუხი გიორგიმ და განაგრძო.

— შემოღობაზე ცხვრის წონა ორკუთხანგვარს უნდა უდრიდეს. ბატკანისა ფუთხანგვარს. თითოეული დედაცხვირიდან და ბატკანიდან გაზაფხულზე უნდა გავკარაქოთ სა-

მი გირვანქა მატყლი მეწველი ცხვირიდან წელიწადში 10 გირვანქა ყველი უნდა დავამზაოთ. ცხვარი დავიცვათ ნადირასა და ქურღები-საგან.

— ეს ჩემი შამხანა თუ კარვად მექნება, ქურდი და მეგლი ვერაფერს დასაკლებს—მეაწყობიჩი გიორგის სიტყვა ჯმუხა, შაგვრემან მწყემსმა, რომელიც გოლომდ-გინეთ უაშენდა საუბარს, მუხლზე თოფი გადაეფო და სწმენდა მას ზეთში ამოსვრილ ჩვარით.

მაშინ აქ გახურებული დოღობა იყო. ჰქროდა აბეზარი ქარი. შოდი-და წვიმა სეტყვა და თოვლი, მაგრამ ეს არ აშინებდა უდაბნოელ მწყემსებს, რომლებიც ხელებ დაკარ წახებული განაგრძობდენ მუშაობას პირველობისათვის, მეტი ბატკანისა და ცხვრისათვის.

ტყვილად არ ჩაუვლია მათ შრომას. აი დამთავრდა როლი უდაბნოში და პირველობა გიორგი ბრიგადას შეხვდა. მათ 908 ცხვარი ჩააყენეს დოღში და 86 ბატკანი მიიღეს მთლიანად აღმოიფხვრა გაბერწების შემთხვევები.

— 95 პროცენტის ნაცვლად დაგრილებულ დედაცხვირიდან მიიღეს ბატკანი და შიინარჩუნეს 95,6 პროცენტის რაოდენობით. თითოეული ცხვირიდან კონკურსში გათავლისწინებულ ერთი კილოგრამი და 200 გრამი მატყლის ნაცვლად გაკრიჭეს ერთი კილოგრამი და 2/10 გრამი მატყლის ნაცვლად გაკრიჭეს ერთი კილოგრამი და 282 გრამი—ასეთია ციფრებში ის მიღწევები რომელშიდაც იმალება ამ ბრიგადის წევრთა უდიდესი ენტუზიაზმი. და სიყვარული საერთო საქმისადმი. სიყვარული, რომელიც შეუძლია განიცადოს საბჭოთა ჩიყანაში მხოლოდ იმან, რომელსაც ამოქმედებს მომავლის იმედა და მტკიცეა სწამს ჩვენი გამარჯვების აუცილებლობა.

გიორგი თევდრაშვილის ბრიგადა ერთ თვეზე მეტია, რაც მთაში ავიდა ქციის იალაღებზე. ცხვარი ყველა ჯანსაღად და მშაქნადაა. მათი ბატკანები, რომ ნახოთ თოხლში ვერ გამოიცნობთ.

ქციის იალაღებზე მყოფობამ დაისადგურა. მთვარე კარგი ხანია აღარ გამოჩენილა. იხმას ძაღლების შორეული ყეფა. ოღნავ ეჩხვლავს. სიბნელე ჩამოწვა.

სიცივე რომ თავისას არ იშლის? საკვირველია პარდაპირ ამ შთის საიდუმლოება. ივნისში თოვლსა და ასეთ სიცივეს სწორით პირველათ ვხვდები ეხლა, მაგრამ ეს სრულიად არ უყვირს ვალი ისკენდეროლის, რომელსაც თბილი ფარაჯა მოუქსამს, მზარზე შამხანა გადაუკილია და ფხიზლად იარაჯობს თავის ცხვარს. მისი კარავი მთას ფერობზეა აგებული და ცხვარიც აქვე იაუჯანაყებით.

— ფრთხილად ვალი ისკენდეროლი — ქურდს ბნელი ღამე უყვარს. ნადირმაც ასეთ დროზე იცის მიმტრევა. ხომ იცი შენ კონკურსში ხარ ჩამბული. ვალდებულება აიღე რომ დაცივე ცხვარს მტაცებელი შეტყებისა და ქურღებისაგან. მოუარე თვითიეულ ცხვარს, როგორც თვალისჩინს—არ დავიწყო, რომ კონკურსში პირველობისათვის ბრძოლა თითოეული მწყემსის სახელისა და ღირსობის საქმეა—ეუბნება თავისთავს ვალი ისკენდეროლი და ბოლთას სცემს.

მოულოდნელად მას ცხენების ფეხის აქარუნე შემოესმა. დამო წყვილი აღში ცხენონისა ორი აჩრდილი შეამჩნია. ცხენას აყვის ხმაზედ ძაღლებმა ასტყენეს ყიფა და „დაუპატიებელ სტუმრისაკენ“ გაექანენ.

— ცხვარი აიშალა—მწყემსებიც ფეხზე წამოდგენ.

— ალბათ ქურდია — ვაიფიქრა ვალი ისკენდეროლიმ და შამხანა მოიმარჯვა.

— ქიმან ოღდაშ—შესახა მან. პასუხათ ცხენების მიხენი შემოესმა.

— ჰი! ოღდაშ! ბიზიმ ფერმინ ათამსან იოხ სა ჩისმან? შესახა მეორედ ვალი სკენდეროლიამ და ნაბიჯი წინ გადაადგა.

— უჩნობი სკუმრები უახლოვდებოდენ ცხვრის ფარმა და ის იყო ვალი ისკენდეროლის სასროლად გამზადებული შამხანა უნდა დაეგზია

ლებია, რომ ერთ-ერთ მწყემსთაგან-  
ში წამოიძახა.

-- გიორგი და ნიკა...

— რაზე პასუხი არ გამეხსი... შეე-  
ნი კასი სხვისი კასი რაისოლი... კა-  
ლამ მარსხი მოკალი—ძოიგს ამ-  
ტვრევს ქართულს ვალი—ისკინდერ  
ოლლი და ახალ მოსულებს ყავრით  
დასურულ სუკთა კარავში იპატი-  
ეება.

ფერმის გამგემ გიორგი დარაშვი-  
ლმა და მისმა მოადგილემ ნიკა მე-  
ურშიშვილმა ცოტახნით ესაუბრა  
მწყემსებს. ცხვარი დაათვალიერეს  
და წასასვლელად მოემზადენ.

— ხელ კანტორაში გამოცხადი  
ჩემთან, იქ მოველაპარაკები—აჭარ-  
ხალბეული სახით მიმართა გიორგიმ  
ვალი ისკენდერ ოლლის. (ჩინზე შე-  
მოახტა და ღამის წყვილიადში მიი-  
მალა.

ისკენდეროლლის გერ გაეგო ვაო-  
ლის გაჯავრების მიზეზი. მანდაკი-  
ბასავით იღვა ერთ ადამიას და დი-  
ორთნი თვალებით ცხვარს მისიერე-  
ბოდა.

მეორე დღეს მან ასეთი ცნობა  
წიილო გიორგი დარაშვილის ხელის  
მოწერით.

**„ბეშალტმერის. № 9 ფარის  
უფროსი მწყემსი ვალი ისკენდერ  
ოლლი — დისციპლინის — დარ-  
ღვევისათვის 20 დენისიდან მოხ-  
სნილია სამუშაოდან ვთხოვთ გა-  
უსწოროთ ანგარიში“...**

მწყემსმა ვალი ისკენდეროლლიმ  
თავიდანვე იგრძნო დარაშვილის  
არასწორი მოქცევა მის მიმართ და  
განცხადებით მუშათა კომიტეტს მა-  
ხარა.

მეურნეობის დირექტორმა გ.  
დარაშვილის განკარგულება უკანო-  
ნოდ სცნო და გააუქმა.

ვალი ისკენდეროლლი თავის სოფ-  
ლიში აღადგინეს.

— მარცხა, რომ მომხდარიყო მა-  
შინ ჩას იხამდი!

— რატომ ვერ იცანი!

— არც იმდენი ბნელი ღამე იყო  
— ეუბნებოდენ მას აქეთ-იქიდან.

— ალახ არ ისოდი! კოინი აფარ-  
დი აივ მან იუჯამი! — ისე გულ-

1) ვანა ხარ ამხანაგო!

2) ეი ამხანაგო! ჩიინი ფერმის კა-  
ტი ხარ თ სხვისი!

3) ცხვარი, რომ მოვებარავ სიბრ-  
ტვილს ხომ ვკამდი!



უდაბნოს სამტრედიის საბჭოთა მეურნეობის მესამე ფერმის უფროსი მწყემსი ანს.  
ს. ურდულაშვილი

წრფელად და მხიარულად წარმო-  
თქვა ეს უკანასკნელი სიტყვები ვა-  
ლი ისკენდეროლლიმ თათქოს მზად  
იყო სოციალისტური საკუთრების  
დაცვისათვის თავი გაეწირა.

უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა  
მეურნეობის № 2 ფერმის მეცხვრე  
ბრიგადას 900-მდე თოხლი ყავს მი-  
ქაგრებული. მთლილი წლის გაწმენ-  
ლობაში აქ მხოლოდ სამიოდე თოხ-  
ლი მოკვდა სულ.

საქმიწახვომის და „კომუნისტის“  
მიერ საოპოტიუსო მწყემსზე გამოც-  
ხადებულ მოქაქოსში ჩაბმის შემ-  
დეგ, ვალი ისკენდეროლლის პრივა-  
დამ სანიმუშოდ დააყენა ცხვრის  
მოვლისა და დატვის საქმე.

ეს ახალი შენობა მდინარი ქაიის  
ნაპირზე იდ, რომ აუგიათ. უდაბნოს  
საბჭოთა მეურნეობის რძის დამამუ-  
შავებელი ქარხანაა. ბეტონის აივან-  
თან რძიანი კასრებით დატვართუ-  
ლი ცურგონები, რომ თორგონებს  
სცვლიან იქ შიმღები, განყოვილე-  
ბაა მოწყობილი.

მისა ფილაურის ბრიგადიდანაა ეს  
ფურგონი, რძე, რომ მოიჭანა ეხლა.  
დაათვალიერეთ თუ გსურთ მილე-  
ბული რძის ჩასაწირი დავთარი და  
ნახავთ თუ როგორ აპარულებს მისა  
რძის დამზადების გეგმას.

გადაჭარბებით ასრულებენ კონ-  
კურსის პირობებს რძის დამზადება-  
ზე მისა თილაურთან ერთად ლადო  
ჯარიაშვილის, იოსებ უნაფქოშვი-  
ლის და ვასო შიოშვილის ბრიგადე-  
ბი.

რატომ გიკვირს თქვენ ამხანაგო  
ეს ამწევა ქალი ქარხნის გვერდზე

რომ აღუმართავთ: გულდასმით ათ-  
ვალეირებთ ალბათ იმიტომ, რომ  
ქალს თქვენ ვინ შეხვდებოდით რძის  
გადამამუშავებელ სხვა ქარხნებში.  
იგი ამავე ქარხნის მუშის ავეგ ალი-  
გინის გამოგონებაა 5 კაციის შრომა  
რომ შესცვალა ყოველიოდიურად.

ესეც სათბობი საამქრო. მერმეთ  
იცით თქვენ რატომ ჩაუშვიათ თირ-  
მომეტრი ამ რძიან ქვაბში ნავთქუ-  
რით, რომ ათბობენ მას?!  
აკითხეთ.

— რძის ზედმეტი გათბობა ყვე-  
ლის გამოსალიანობას და ხარისხს  
ამცირებს. 25—30 გრადუსი სათბობა  
საჭირო, რომ კარგი ხარისხის „ბრე-  
ნდა“ და თოშური ყველი მივიღოთ  
— გიბასუხებებს ივანე ქურხული 33  
წლის საწარმოო სტაჟი, რომ აქვს  
ყველის ქარხნებში მუშაობის.

აი ესეც ყველის დამამზადებელი  
საამქროა ოითონის ვიწრო მილე-  
ბით, რომ დაუსერავთ. ამ მილებით  
გადადის რძე სათბობი ქვაბიდან  
ყველის დამამზადებელ საამქროში.  
მერმეთ და როგორ მოხიდილად  
მუშაობს აქ იავორ ვარამაძე დაზგის  
წინ რომ სდვას ეხლა და ითიმება.  
კრანი მოუშვია და აქაფებული  
რძით აესიღებს ხის დიდრონ კასრებს,  
რომ ნაშში კვეთის ჯგენილი ჩაყა-  
როს და საათანხვერის შემოთვ რძე  
ყოიოად აქციოს.

28624 კილოგრამი სიოლი უნდა  
დამამზაოოს წელს გიორგი ვარამა-  
ძემ დამისმა ამხანაგებმა.

— ერთი თქვეზე მეტია, რაც ქარ-  
ხანა ამუშავდა. ორი თვე კორივ და-

გერია. გეგმას აუცილებლად შევასრულებთო — აცხადებენ იანნი.

ზუზუნებენ სეპირატორები. ციბრუტივით ტრიალებს რძის ნაღები სავესე მანქანა. ესეც საპრეაი დაზვა და დამკვერელი მუშა სოლომონ სომხიშვილი. ესეც საწყობი. კარაქით და ყველით დაღლებული ქურჭლები. შესრულებული გეგმა და ციფრები:—20415 კილოგრამი რძიდან 1361 კილოგრამი ოქროსფერი კარაქი.

1927 წელს უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის დაარსება რუქაზე უბრალო წერტილით აღინიშნა. მაშინ აქ 200-მდე თუშური დედა-ცხვარი იგი მოსავლილად კოლაკ ჭორსიკა და ყოჩა მორიკეს ყაზბეგიდან და ნაკვეთაურის ყოფილ მოჯამაგირეს ლადო ჯარიაშვილს ჩაბარეს.

ცხვარს მალე დიკო მზრონველობის ხელი მიუჩნობა მოკლე ხნის განმავლობაში განმტკიცდა და გაიზარდა. —1933 წლის რამლოვი-სათვის აქ 34,579 ცხვარი იყო სულ. —ეხლა 1934 წლის ივლისისათვის 46.367.

— გასულ წელს ცხვრის საერთო რაოდენობა 8,2 პროცენტით შემცირდა, ხოლო წელს რაღაც შვიდოდე თვის განმავლობაში იგი 34 პროცენტით გაიზარდა.


სოციალისტური მეცხოველეობის საქმის ოსტატებმა ჯაქრო ფოლადაშვილმა მიხა ფულაურმა, პეტო გურაშვილმა, სიმონა ბასიტაშვილმა მიხა ჯანიაშვილმა და გიორგი თევდორაშვილმა გაიმარჯვეს.

მეურნეობის პარტიული ორგანიზაციაც სამართლიანად ამჯობს ამ გამარჯვებას რადგან ეს არის ნამდვილი ბრძოლის შედეგი, რომელიც აქ ჩატარდა საკ. კპ. (ბ) მე-17 ყრილობის გადაწყვეტილებათა და ანხ. სტალინის მითითების შესაბამისად მეცხოველეობის განვითარების დარგში.

იზრდება მწყემსების ენტუზიაზმი.

უდაბნოში მრავლდება ცხვარი ბატკანი, ყოჩი, მჭედლია და თოხლი.

და 7 წლის წინათ რუქაზე აღნიშნულ უბრალო წერტილი, უდაბნოს საბჭოთა მეურნეობის დაარსებას, რომ გამოხატავდა, გაიზარდა 27.000 ჰექტარამდე, რომელიც გადაჭიმულია იორმუჯოქლოდან—თაფანახში ჯანდარამდე და გარეჯიდან—ფოთლოქესამდე.



ფირდოუსის გამოფენაში სპარსელი მწერალი ნეფესი, მ. ჯავახიშვილი, და ფირდოუსის გამოფენის მომწოდებელი მწერალი პ. ინგოროყვა

# • ფირდოუსიდან •

მეცხრედ გავიდა ბართე ჭაბუკი ქეჭრემ ხმლის-მკვერელთან, ორი მოსისხლე მტერი, ორი თავკაცი. ხერხებს ბრძოლისას ცდიდენ ყოველმხრივ, ბოლოს ხელთ იღეს ინდური ნმლები. თანისთანობით უკან იხევდა ქეჭრემ ბართესგან, მან ჩაჩქანის თავს მძლედ ხმალი დაჭრა: ქეჭრემის მკერდი ორად გაიბო, შიშით გაიფხო ბართეს მტრის გულში... ჯერ ის ცხენიდან დაბლა დეშვა, გვამი მიიბა თუქის \*) უნაგირს

და შემდეგ ტაიქს კვალად მოაჯდა; კიყინ-დგრილით მალღობს ავარდა, ვით ვეფხი მკრჩხალი, ხელში ექირა ხმალი ინდური, დრომაც სვიანი ხელში ეკავა, ცხენზე ეკიდა თავდაყირული ქეჭრემის გვამი, — ასე იძახდა: „გამარჯვებული არის ხელმწიფე, მარად იბრწყინოს იმის გვირგვინმა მზის დისკოს ზევით!“ ალ. ბარამიძისა

\*) ცხენის სახელია თარგმანი სპარსულით



უფლისწულებს გულთბილად შეხვდნენ აფხაზეთის მთავრის ოჯახში. განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა ზინების მიმართ კნენია კესარია შერვაშიძემ. მთავარი მიხეილი, კარგა ხანია მტრული თვალთ უცქერდა დადემქელიანებს, სამოკრებზე ატეხილი დავის გამო, მაგრამ სვანეთის მთავრის დასჯა, რაკი მალაღმა ღმერთმა ინება და ციოყ დადემქელიანი უკვე აღარ განაგებდა სვანეთის სამთავროს, გადასწყვიტა, ღმობიერი მოპყრობით მოეგო მემკვიდრე მურზაყანის გული.

მურზაყანი თუთხბიტ-თექვსმეტი წლის თუ იქნებოდა. თუმცა თვალთა ნადობით ოცი წლის ჭაბუკსაც გააწბილებდა. მურზაყან უკვე ბრძენკაცობდა. ყმაწვილი იყო, მაგრამ სამთავრო საქმეებს დიდი გულისტკივილით ეპყრობოდა.

შერვაშიძის ოჯახში ხშირი იყო წვეულებები, ნადიმები. სტუმრებს შორის რუს ზემწიფის მოხელეებსაც ნახავდით, უცხოელებსაც. მურზაყან

ყურს უდებდა სასახლის კარზე გამართულ ინტრიგებს. განსაკუთრებით, მის ყურადღებას აფხაზეთის მთავარი მიხეილი იპყრობდა. კაცი მეტად სასტიკი და გაუტანელი. უამრავი მტერი ჰყავდა აფხაზეთის მთავარს... მაგრამ დაუნდობელი იყო მიხეილ შერვაშიძე, როგორც შინაურ ისე გარეშე მტრების მიმართ.

კალი თვალი მუდამ ოსმაღეთისკენ ეჭირა მიხეილს. აქით რუს-ხემწიფესაც ერთგულებისა და მორჩილების ეფიცებოდა. (ისე ჭირივით სთულდა რუსები). ამიტომ ძნელი იყო მუდმივი ინტრიგებში გახლართული მთავრის პოლიტიკური სახის გამორკვევა. მის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა კიდევ უარესი. საცა არ მოელოდნენ იქ გამოჰკრავდა კვანტს შერვაშიძე და დაგიზილ მტრებს სიცოცხლეს უშხამებდა.

მურზაყან შორი-ახლო უთვალთვალეზდა უცნაურ მთავარს. მას მუდამ აოცებდა შარიაშიძის გაუტანელი ხასიათი, ჭარბი სიმკაცრი და ყველასა-

დმი უნდობლობა. არ მოსწონდა მისი მუდამ მოღუშული სახე და ბოროტი თვალები. გასაფრენად მომზადებულ მერცხლის ფრთებივით წარბები, ჩატეხილი ნიკაპი. და რეგნული შეხედვით მიუყარებელი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა მთავარი, მაგრამ ის მაინც მიმზიდველად ეჩვენებოდა მურზაყანს.

მურზაყანს ხელს უშლიდა გაუნათლებლობა. წერა-კითხვა იცოდა, მაგრამ ეს ძალიან ცოტა იყო სასახლეში გადახლართულ ინტრიგების ასახსნელად. გარდა ამისა, უფლისწუროს ყოველ ფუნის გადაღმაზე ეტყობოდა ველური ქცევა, გაუთლებლობა.

კნენია კესარიამ აღმზრდელები დაუნაზნა უფლისწულებს. განსაკუთრებული ყურადღებით მურზაყანს ებყრობოდნენ. უკითხაიენ წიგნებს. ასწავლიდნენ ცეკვას... საზოგადოებაში თავის დაჭირას, სიმღერებს. და წარმოიდგინეთ არმიყობასაც.

ამით სარგებლობდნენ სასახლის კარზე რავემოყრილი თვადები, კნიაუნები და მურზაყანს გასაქანს არ აძლევედნენ. მორცხვობდა მურზაყან. ჭალებთან საუბრის დროს ხშირად წითლდებოდა, მაგრამ ეს უფრო მოწონდათ სასახლის ინტებარგატეხილ კნენებს: სარგებლობდნენ მურზაყანის მორცხვობით და, როცა მთავარი მიხეილ შინ არ იგულებოდათ სიცოცხლ-ხარხარი იკლებდნენ სასახლეს.

მურზაყან და მომდევნო ალექსანდრე, საოცარი სისწრაფით ითვასებდნენ სვანებისათვის უცხო ჩვევებს და განცვიფრებაში მოყვდათ მიხეილის სასახლეში მოკალათებული წარჩნებულნი.

მურზაყან შეეჩვია უცხო შხარეს. უცხო წრეში ცხოვრებას. მაგრამ მოწყენილობაც დასჩემდა სვანეთის ტანტის მემკვიდრეს. ხშირად მთელი დღე გამგუზებული იჯდა მურზაყან და მოწოლილ სევდას ეომებოდა. ველარც ჭალები ართობდნენ ასეთ



ანგლისელი ქალი ვ. ელისი და რუსი მწე რალი ღ. ღეინოვა

დროს სვანეთის სამთავროს მემკვიდრეს, ვერც აღმზრდელები. თვითონ კნენა კესარია(კი გაწბილებული ოჩებოდა ხშირად და ეს გარემოება ყველას ერთნაირად აოცებდა.

სვანეთი იყო მოწყენის მიზეზი. რახანია შინიდანაც არაფერი ესმოდა გახიზნულ ჟღლისწულს. კნენა კესარია აღვილად ხვდებოდა მურხაყანის მოწყენის ნამდვილ მიზეზს და უფლისწულის გასახალისებლად ახალ-ახალ გასართობებს იგონებდა.

ამ დროს აფხაზეთის მთავარი სამკვიდროს საქმეებით იყო დატვირთული და ხშირად ერთი კვირა ისე გავიდიოდა, არაფერს იკითხავდა ხიზნების შესახებ.

ივლისი გვალვით დაიწყო. თაკარა ერთო ზღვის სანაპიროებზე. მთავრის ეზოში მუდამ გრილოდა. სოფელი ტამიშ, სადაც ესახლა მიხეილ შერვაშიძე, მალე დან დაჰყურებდა სანაპიროებს. ეზოში უხსოვარდროინდელი ჭანდრები და ალვის ხეები საამო ჩრდილსა და ნიავს თავაზობდენ სასახლის მცხოვრებლებს.

სადილზე შიოიი ახსენეს. მიხეილმა ნადირობა მოისურვა და უხუცესებს დააჯალა: შეემზადეთო. სკურჩაში აპირებდენ გამგზავრებას. სკურ



სტუმრად მიგზავნიან

ჩა მდიდარი იყო ნადირით: ირემი, ჯახვი, ჯეირანი, შგელი და არჩვი სკურჩას მუდმივი მობინადრენი იყვენ. გარეულ ოორებსაც ხშირად წაელენებოდენ მონადირენი. წვრილ

ფეხა ნადირსა და ფრინველებზე თოფის სროლას თითქმის არავინ ჰკადრულობდა.

სამთავრო ტყედ ითლებოდა სკურჩას მიდამოები... ტყე დაცული იყო და ნადირიც უზომოდ მრავლდებოდა.

ცინცხადი დღე გათენდა. შერვაში-ცინცხალი დღე გათენდა. შერვაში-ბიან. ბაზიერნი ძაღლებს აგეშებენ ახოსალარს ცხენები გამოჰყავს საჯინიბოდან. მეთოფურები უკვე მზად არიან. ძხად არიან მეჭურჭლე-მება-რგეებიც; ამაღა -- ხზე დვას.

გამობრძანდა მთავარი. შეკაზმულო ცხენებს გადახედა. არაბული ყორანი შეათვალთვალა. მოეწონა მთავარს დადიანის ნაჩუქარი ყორანი. შეკაზმულობაც თვალში მოუვიდა. ოქროწყალში შეფერილი ვერცხლის უნაგარი კოხტად ედგა ზურგზე ყორანს. ოქრომკეციით ნაჭარგი საოფლე. მძივბრით მოოჭვილი საძე. შევერცხლილი ლავამორთულობა. აღვირი მოკლე, მაგრამ მუშკივით რბილი, მოილული უზანგები აღმასივით ლაპლაპებდენ.

მიხეილ ყორანზე შებრძანდება. ყორანი მხედარს მოელის და მიწას ტორს ურტყამს ძალუმი ნებიკრობით.

— ლურჯა სადღაა?! — იკითხა შერვაშიძემ.

— საჯინიბოში გახლავთ, იიღო ბატონო! — მოახსენა ახოსალარმა.

— გამოიყვანეთ!

ახოსალარმა შესიტყაიბა ვერ გაუბიოა აქნიან მთავარს. საჯინიბოსკინ გატრიალდა და ხმადაბლა აზურ-ლოლდა: დამტყრევეს ვილაცას და ხათაბალა გახდებოა...

გამოიყვანეს ლურჯა. კვიცი რომ იყო თავდაჭერაზე რტყობოდა. თვალებს დამფრთხალი აცეცებდა. ცმუ-



ანდრე ნეკე მოსკოვში

კვდა, ვეთდობოდა. ორი წამოსადე-  
გი ვაჟკაცი ძლიერს უმადრებდა თავს  
კაუხუნდნავ აჯილღას.

ნესტორ აბდიბამ უკმაყოფილოდ  
ჩააქნია ხელი და ლურჯას ამრეზი-  
ლი მზერა ესროლა. ასიოდ აჯილღა  
გაუხუნდნია აბდიბას. ასიოდ ურა მო-  
უთოკავს და მოუთვინიერებია, მაგ-  
რამ ეს ლურჯა რა გაუხნდა, მის მო-  
საგვს საშველი არ დაადგა. ვერ იქ-  
ნა ნებეიერ სიარულს ვერ დააჩვია.

ისე, გავარდნილი თოხარკიაა ლუ-  
რჯა. ტანწერწეტი. მუხლებმაგარი.  
განეიერ მკერდს, მალალი, მაგრამ მო-  
უდრეკელი კისერი უმშვენებს და  
ვაი ამას, ვისაც თვალწუნად შეხე-  
დავს თავნება მერანი. ჯერ შიჯდო-  
მა არავის უწერია მის ზორგზე, მაგ-  
რამ თუ ვინმემ იხელთა დრო და ზუ-  
რგზე მოქცა, ჩამობტომას ზოლი და  
აცდის... სადმე კისრით გადაუშვებს,  
დადგება და ამაყბდ ზეიხეინებს.

— ვინ არის ვაჟკაცი! — ცივად  
იკითხა შერვაშიძემ და წარჩინე-  
ბულთ გადახედა.

ყველას გააცვივა ლურჯას დანახ-  
ვაზე.

ზმას არავინ იღებდა.

მურზაყან განზე იდგა და ბედაურს  
ათვალეიერებდა. ლურჯას დანახვაზე  
თვალეები გაუბრწყინდა სვანეთის უფ-  
ლისწულს. ლურჯას მიუახლოვდა.

— გეშინიათ! — დასცინა თავისი-  
ანებს მთავარმა და ახლა სტუმრებს  
გადახედა, ვინ ხარ მამაციო.

კნეინა კესარიამ ვეღარ მოითმინა  
და ქოქოლა დააყარა თავმომწონე  
თავადიშვალეებს. კნიაჟნებმა ქირქი-  
ლი ატეხეს.

აქ არის კნეინა კესარიას ქალი  
ადილზან. ვერც ის ისვენებს წარჩი-  
ნებულთა დუმლიზე და თამშეო  
მარლანიას აჯაგრებს. თაემომწონე  
აფხაზი ბრახს ვეღარ ამსგრებს, მაგ-  
რამ ლურჯაზე შეჯდომა მაინც ვერ  
გუბედნია.

— დაგლახდიო! — იწყინა შერვა-  
შიძემ.

— მე დავჯდები! — წამოიძახა  
მურზაყანმა და გაკეცილი მათრახი  
მესტებზე შემოარტყა.

ყველამ განცვიფრებოთ გადახედა  
სვანეთის მემკვიდრეს. ქალებმა ზმა-  
მალლა გაიციინეს. გაუკვირდათ მისა  
გამბედაობა, მაგრამ იწყინეს კიდევ  
წათამამება თავხედობად ჩამოართვეს  
გულუბრყვილო უფლისწულს.

— გული ატყუებს.

— ახალგაზრდაა და ეადვილება.

ახოსალარმა, უარის ნიშნად თავი  
გააქნია; თანაც დაატანა: დაიბრიყ-  
ვებს, გადმოაუღებსო.

მურზაყან აინთო ახოსალარის სიტ-  
ყვებზე. ნათქვამს აღარ შეაწბილდა.  
შეკაზმულ ლურჯას ჯაჭურ მიადგა,  
ადილზანმა ჩუმად ჩაიციინა. ვერვინ  
გაიგო დაცინვა იყო ეს ჩაცინება თუ  
უცეცარი სიხარულით მოვარდნილი  
ალტკანების გამოძახილი.

— მოიტა აღვირი! — ბრძანების  
კილოზე მიმართა მურზაყანმა ხანშე-  
სულ ახოსალარს და შეწრივლებულ  
ლურჯას ზურგზე ხელი დაჰკრა.

შეტორტმანდა ლურჯა. მიწას ტო-  
რი დასცხო და ფრთხვენვას მოუხში-  
რა. ყალყზე დადგომა სცადა, მაგრამ  
მუხასავით გაბაჯვულ მურზაყანს  
დრეკა ვერ უყო გავემბებულმა აჯილ-  
ღამ.

— ჰაიჰ! — დასწყვილა უცებ  
მურზაყანმა და თვალის დახაკვაში  
ლურჯას ზურგზე შეაფრინდა.

თავნება აჯილღა განზე გახტა

და მხედრის გადაყირავება მოინდომა.  
მაგრამ არანაკლებ თავნება სვანმა  
ისე მძლავრად მოსწია აღვირი, რომ  
უდრეკი კისერი ჩივრივით გაუხნდა  
აჯილღას, მოსაგვა და ნეხიერივით  
დაიმორჩილა.

კნეინებმა ტაშეიშემაქციეს მურ-  
ზაყანს ჰაეროვანი კოცნა მესთაფ-  
ზეს. სამაგიეროდ სასახლის წარჩინე-  
ბულნი გაუნაწყენდენ უწლოვან უფ-  
ლისწულს და მურის თვალი უჩვე-  
ნეს.

მურზაყანმა კვლავ დასწყვილა  
ლურჯას. სასახლის წინ გაშლილ მინ-  
დორზე ჯერ ნაბიჯით გააცეკვა, ქუს-  
ლი ჰკრა და გაფრინდა.

გაოცებული მიჩერებთან თავზე-  
ხელაღებულ მხედარს. უცვირს მიხე-  
ილ შერვაშიძესაც.

— გადმოაგდებს. — დაიჩემა ახო-  
სალარმა.



მუხის საუკეთესო ხელმძღვანელი,  
ქუჩის საუკეთესო ხელმძღვანელი მილციელი აბ. მუხიანბი

— დაამტკრევს... — დასძინა მარ-  
ლანიამ.

— არა... დაიმორჩილა. — წყენით  
სთქვა ნესტორ აბლიბამ და თავი შე-  
ურაცყოფილად იგრძნო.

თვალმისაწიერზე მურზაყანმა ლუ-  
რჯა შეაყენა. სასახლიკენ მოაბრუ-  
ნა და გამოაქანა. ამაღას რომ მოუ-  
ახლოვდა სადავე ისე მოსწია,  
ქანდაკებასავით გააშეშა, თითქო ფე-  
ხები შეუბოროტესო.

— ყოჩაღ! — შეაგება შერვაშიძემ  
— რაშია ნამდვილი! — ყრუდ ჩა-  
ილაპარაკა მურზაყანმა.

მთავარს არ გამოეპერა სტუმარ  
ფულისწულის შექება და აფხაზურ  
ჩვეულების მიხედვით უმაღლ დაატა-  
ნა: თქვენი ფეშქეში იყო, ბატონი-  
შვილო!

მურზაყან გაწითლდა სიხარული-  
სგან. მზიარულ გუნებაზე დადგა.

ხვითქი ჩამოსდიოდა ლურჯას. კი-  
სერი ვასაპნული გეგონებოდათ. მი-  
სი სუნთქვა ჯებერჯილის ქშენას წა-  
აგავდა.

— დავიძრათ! — ბრძანა მიხეილ-  
მა და ყრანს მოახტა.

მურზაყანმა მოსაგვალი აჯილდა  
ნაბიჯში ჩააყენა და ამან კიდევ უფ-  
რო გააწიწმატა შეურაცყოფილი თა-  
ვადიშვილები.

თამშეო მარლანია რისხევს ეიოარ  
იმაგრებდა. სამაგიეროდ კნიაყნა  
ადილხან გვერდში ამოუდგა სვანე-  
თის შემკვიდრეს და გზადაგზა მას-  
თან მზიარული საუბარი გააბა.

\*\*\*

გავიდენ სანადიროდ. ტყის მოსა-  
რეკად ხალხი დაგზავნეს. აუშვეს ძა-  
ლები და შეწრილდა აქამდე გა-  
რინდული მიდამოები.

წარჩინებულნი ჩაესაფრენ. მოუთ-  
ნენლად ელოდებიან ნადირის გამო-  
ჩენას.


ავერ, შეუტეეს მეძებრებმა, ნადი-  
რა ბუნაგიდან წამოჰყარეს. ჩასაფრე-  
ბული მთავარი მოთმინებას კარ-  
გავს...

გაისმა ლაწანი და რქებგადაწყობი-  
ლი ხარ-ირემი შხეილით ლაქანა  
შერვაშიძის საჰარისაკენ.

იქვე მახლობლად ჩასაფრებულმა  
მარლანიამ ველარ მოითმინა და ეს-  
როლა. დააცდინა. შერვაშიძე ბრა-  
ზით აინთო. მარლანიას მატრაკვეცო-  
ბა პირად შეურაცყოფად ჩათვალა  
მირონცხებულმა მთავარმა... მაგრამ  
დაბოროთხალ ნადარს თვალი მანც  
არ მოაშორა, ცხენს ქუალი ჰკრა, მო-  
სახვევიდან წამოუყარა და ალაღბედ-  
ზე ესროლა.

შორს იყო, მაგრამ სულმობრძავი  
ირემი უხმოდ ჩაიკეცა.

გამზიარულდა მთავარი. სტამბო-  
ლს ფალიაზე აკოცა. „ნაცადი ლუ-  
ლაა. ვისაც თვალი უჭრის სირცხ-  
ვილს არ აჰყვებს“. მოაგონდა შერვა-  
შიძის მონებით ვაჭრის, ქალილ-ბეის



გამომგონებელი ჯონ სმიტი. კალი ფორნიელი გამომგონებელი ჯონ სმიტი მუშაობს ნახევრად მძიმე ღირებულების მო დელზე ( რომელმაც უნდა შეაერთოს ღირებულების წონასწორობა თვითმფრინავის სისწრაფესთან.

✚

სიტყვები. ქალილმა უფეშქეშა აფხა-  
ზეთის მთავარს ეს სტამბოლი.

„გაქნალი ვინმეა, — აღდეენა უკი-  
ქრები აფხაზეთის მთავარს — მონე-  
ბით ვაჭრობს, ქვეყნის ოქროს ხელს  
უსვრიას და გროშებზე წოწუნებს. მუ-  
დამ ხარალი აკერია ენაზე. „ხეირ  
იოხტუ!“ ურცხვად დაიფიცებს და  
ისე შემოგზავნის. შეგებრალობა...  
უკ, ვაჭრების სანსილა. მაგათ წაბილ  
წის ჩვენი პატოსანი ქვიყანა. შემო-  
იტანეს ჭუჭყი და უსაზღვრო ანგა-  
რება“.

— დიდო ბატონო! — მოკოოდნე  
ლად დაარღვიეს მთავრის მყუდროე-  
ბა. შინაყმებმა ხელეგაკრული აფხა-  
ზი მოჰგვარეს მთავარს და მდაბლად  
მოახსენეს: ნადირობაზე შევესწარა-  
თო.

— ეინ ხარ? — პირქუშად იკითხა  
შერვაშიძემ.

— ჭანბა ვახლავარ, დიდო ბატო-  
ნო!

— „ჭანბა ვახლავარ“. — დაცინ-  
ვით გაიმეორა მთავარმა და ცხენს  
სადავე მიუშვა. — ქურდი ბრძანე-  
ბულხარ!

— ქურდი არბ ვარ, დიდო ბატო-  
ნო! ვაჭირვებამ გამაბედღინა.

— ქურდი ხარ... ხელწამკრავი...  
ჭანბა მიწას დააშტერდა და დანი-  
სლული თვალები ცრემლებით შეე-  
ტბორა.

— ქურდი ხარ! — დაადგა კბილი  
შერვაშიძემ.

— ევკ, ღმერთი სად არის, რომ სი  
მართლე დინახოს.

ატირდა ჭანბა. შეურაცყოფა იე-  
ლარ აიტანა.

— ნანადირევი ზოროზე აჰკიღეო,  
ალაიაში გაატარეთ და...

— არ გაუშვათ! — მოაგელვეს

ცხენები ჯიხვზე გამოდევნებულმა  
მონადირეებმა.

— თუთხმეტი როზგი უწყალო-  
ბით! — დატოვა ბრძანება მთავარმა  
და თვითონაც ჯიხვს გამოუდგა.

მარლანიას საფარი გადაყვლა შერ-  
ვაშიძემ. თამშულ მარლანია შურიო  
აინთო. საჰარი გადაინაცვლა და მ-  
რტოდ დარჩენილი ფიქრებს მიეცა.

დიდი ხანა თამშულ მარლანიას  
აფხაზეთის სამთავროზე უჭირავს  
თვალი. შერვაშიძეს ათასგვარ ხრიკს  
უწყობს. ბედი არ წყალობს მარლა-  
ნიას. ვერც ჰკუა - გამჭირახობით  
სჯობნის შერვაშიძეს და ბნელი ზრა  
ხვები განუხორციელებელი რჩება.

ხმაურობა მატულობს. ძაღლები  
ყვფით აყრუებენ მიდამოებს. მარლა-  
ნიამ კნააქნა ადილხანს მოჰკრა თვა-  
ლი და ცხენი თავიკვე დაქანა.

ადილხან ნადირსაც ელოდებდა  
და... იქვე ჩასაფრებულ მურზაყანს  
აგზნებული თვალებით ულოლია-  
ვებს.

ადილხანს უკვი გულში ჩაუგარდა  
სვანეთის მემკვიდრე და ოცნობებს  
მასზე.

ის შენიშნა მარლანიამ. უკვებ გეზი  
შეიკვალა, ცხენი მიატრიალა და  
მურზაყანს ზოროში ჩაუდგა.

— თამშული! — მოიქნა მარლანიას  
ადილხანის წკრაალა ხმა.

— რა გნებავთ, ბატონიშვილო! —  
არ დააყოვნა მარლანიამ. დადრეშქელი  
ანს პირი მოარღიდა და ადილხანს შო-  
რი-ახლო შეჩერდა.

— რატომ ხართ მოწყენილი? —  
გაუღიმა განგებ ადილხანმა.

— თავი მტკივა. სიცხემ თუ დაბ-  
კრა.

მარლანიამ აბრეშუმის ცხვირსახო-  
ციო შუბლი მოიწმინდა. ცალი თვა-



ლით მურზაყანს გაჰხიდა და ცხვირ-სახოცი ჩოხის გულთაფაში შეინახა. წინ ადილხანის ეღვა, მაგრამ აღრენალი თავადიშვილი ისევ დადგმქელიანს მიჩერებოდა. ადილხანთან საუბარს, არ იქნა. ბოლო არ გამოე-ნასკვია. ორივენი კარვად გრძნობდენ ერთმანეთისადმი გულცივიობას. ადილხანს არ მოსწონდა თამაშულ მარლანაა. თამაშულს მოსწონდა ადილხან, მაგრამ იჯავრებოდა კადეც. მიზეზი მურზაყან დადგმქელიანი იყო.

მასობელ ხეში ჩოხილი შეიქ-ნა. ძაღლები იერიშზე გადავიდნენ.

— შეილი! — შეჰკვივლა ადილ-ხანმა.

— ესროლეთ, ბატონიშვილო! — უკულოთ შესთავაზა მარლანიამ კნი-აქა ადილხანს.

გავარდა თოჯი. შეტორტმანდა ნა-დარი. ერთი უკან მოიხედა და გაფ-რინდა.

— თქვენი მომერიდა, თორემ... — ჩაქენა თავი მურზაყანმა.

— დაჭრილი. დიდას გეფიცებით დაჭრილი... აი, თამაშულს გკათხ... მოიხედა. თამაშული უკვე მინდორს უახლოვდებოდა.

— როგორ გაიპარა?! — გაიკვირ-ვა ადილხანმა. მაგრამ როდი იწყანა მარლანიას ჩამოშორება.

მურზაყან ნასიამოვნებიც კი დარ-ჩა აბეზარ თავადიშვილის თავიდან მოშორებით.

— მურზაყან, გეფაცები, დაჭრ-ლია!

— გნეაფთ, გავედივით! — შეჰ-ლიმელა ადილხანს მურზაყანმა და ცხენს ქუსლი ჰკრე.

სამბრობა მოატანა. შეაჩერეს ნა-დრობა. ნანადირევს თავი მოუყა-რეს. ყველა ვანკიფრდა დახოცილი ნადირის დახეხვაზე.

მთავარი მზიარულ გუნებაზეა. სამ-ჯერ ესროლა დღეს მთავარმა და სამჯერვე მოახვედრა.

— სადილი! — ბრძანა შერვაში-ძემ. ღიღინით ჩხრილა წყაროს მიუ-ახლოვდა. ხელი დაიბანა. გაკრილ-ბულმა ჩრდილი შეაჩრია და მოი-სვენა.

გაშალეს სადილი.

ჩაკიბული ღვინოები დოქებით ჩამოღვეს. ფეხზე დადგნ მერიქი-ვენი.

ვარდისფერი იზაბელა აჩინჩხალდა სასმურებში.

მიხეილმა ნადრობის სადღეგრძე-ლო დალია. ყანწი თამაშულ მარლანი-ას გათაულოცა.

კუშტად ჩამოართვა ყანწი მარლა-ნიამ, გაავსო და უბრად დალია.

— რამდენჯერ დააცდინე, თამ-შულ! — ნიშის მოგებით ჩაუკრა შერვაშიძემ. ამით აგრძნობინა, რომ მისი საქციელით ნაწყენი იყო აფხა-ზეთის მთავარი.

— დააცდენ, როცა წინ გელობე-ბიან.

— თვალის ბრალია, თამაშულ! ზოგ-ჯერ მუხის ჩრდილი მუხად ეჩვენება ადამიანს.

— სწორი შენიშვნაა. ხშირად ჩრდილი მუხა ჰგონია ზოგიერთებს და მუხას კი ვერ ამჩნევენ.

ქარაგმა ყველასათვის ვასაგები იყო. მიუხედავად და იწყინა კიდევ მი-ხეილ შერვაშიძემ მტროქე თავადი-შვილის თავგასულობა. ბევრი აღარ დააყოვნა: შენთან შეჯიბრი ვაუკა-კობად არ ჩამეთვლია, მაგრამ გნე-ბავთ თვალცი ვავსინჯოთო, — გა-მოიწვია მთავარმა მარლანა და ში-ნა-ყმას უბრძანა: სანიშნო წაიღეო.

თამაშულს არ ესიამოვნა მთავარის უდროო გამოწვევა, მაგრამ უკან და-წვეა ისიცხვილა.

წამოიშალენ. ასი ფეხის ნაბიჯზე დასდეს სანიშნო.

— ესროლეთ! — მიმართა მთავარ-მა მარლანიას.

— თქვენ ესროლეთ! — შეყოყმან-და სადღეგრძელში ჩავარდნილი თა-ვადიშვილი.

— ადილხან სად არის? — მოუ-ლოდნელად იკითხა აბდიბამ.

შეწრილდენ. ამაღას თვალი გა-დაავლეს. არსად სჩანდა.

— დადგმქელიანი ადილხანს არ მოაწყენს. — ღვარძლით შენიშნა მარლანიამ და სანიშნოს ხელმოჩრდი-ლვით გაჰხიდა.

— არც მურზაყან სჩანს? — იკით-ხა შერვაშიძემ. — გავხანვით კაცე-ბი. თამაშულ, თქვენი რიგი იყოს.

— თქვენ გერგებათ, ბატონო ჩე-მი, ესროლეთ! — გამოიცვალა კი-ლო მარლანიამ.

ეკროლა შერვაშიძემ.

— წერტილში ვახლავთ! — დაი-ძახა შინაყმამ, რომელიც სანიშნოს უთვალთვალებდა.

თოქმანდა მარლანია. აცახცახებუ-ლი ნერვები ძლივს დაიწყინარა. დაი-ხარა და დატუშინა.

მინდორზე მურზაყან გამოჩნდა. წინ ადილხან მოაგელვებდა აქაფე-ბულ ცხენს.

ადილხან დაელოვებამი გაჩნდა სა-ნიშნოსთან და თოფაც გავარდა.

უეცრად მოხდა ეს ამბავი. გაურ-თხილებაც კი ვერ მოასწრეს.

ვერ თოფის ხმა არ მიწყინარებუ-ლიყო, რომ ადილხანის ცხენმა ჩაი-ჩოქა... მხედარმა თავი ვიოარ შეიმა-კრა და ბალახებში გადაეშვა.

— მარცხია!

— მოჰკლა!

— თამაშულ!

თავზარდაცემულნი ადილხანისკენ გაექანენ.

სანამ წარჩინებულნი ადილხანს მი უახლოვდებოდნენ, მურზაყან ლურჯა-დან გადმოფრინდა, ადილხან წამო-

აყენა და ჩურჩულით ჰკითხა: — ამ-ბრაფერი გეჭკინათო.

ადილხანს თავი სიშმაჩნა გონა/ მურზაყანის მკლავები მტროსი მი-კრა და ღიმილით უკუ-კვი-როო.

ადილხან ფეხზე წამოდგა: ნაწინავე-ბი გაისწორა, კაბის კალთა დაიბერტ-ყა.

ცხენი ადგილიდან ველარ იძვრო-და. მარლანიას ნასროლს ქაჩაჩი გაფე-ვრიტა ადილხანის ცხენისთვის.

— ყოჩაღ, კარგი სროლა გცოდნია თამაშულ! — კვლავ დასცინა შერვა-შიძემ და რაკი შემთხვევა უმარც-ხით დასრულდასტუფრისკენ მიიარუ-ლად გამოემართა.

— უნებლიედ გამოეკრდა. — იმა-რთლა თავი მარლანიამ. — ხმაურო-ბა რომ გავეგონე, თოფის ჩამოღება განვიხრახე, მაგრამ უეცრად სასხ-ლეტს თითი გამოეკარი და...

— მარცხენა ფეხზე ამდგარხართ, თავადო! — წყენით ჩაურთო მოხუც-მა აბდიბამ და აყოქლებულ ცხენს ფეხზე მალამო დაადო.

— მაშ, ყაბულს არა ხართ, თამ-შულ?!

— თუ დამიჯერებთ, სიმართლეს მოვახსენებთ.

— რა უფლება გეაქვს არ დავი-ჯეროთ — ორახოვინად მიუგო მთა-ვარმა და თან დაატანა: ესროლეთ მეორეჯერ!

მარლანიამ უყოყმანოდ გატენა თო-ფი, დაიროქა და კვლავ ესროლა.

— მარჯვენა ქურვი! — დიძახა მოთვალთვალე შინაყმამ.

— რას იტყვით, თავადო.

— მჯობნით და ეს არის... ამას ისედაც კარვად ვამჩნევ.

— ისევ ქარაგმა?

— არა, მარლანიების სიგლახეს ქა-რაგმა ველარას უშიგლის.

— თუ ასეა თითი მოხარეთ!

მარლანამ თითი მოხარა. გაცეცხ-ლებულმა ყანწი გაავსო და შერვაში-ძის სადღეგრძელო დალია.

— ძალა მიჩვენე..

— გაქცივს გიჩვენებო... ჰი. ჰი.. ჰი! — აქირქილდენ შინაყმები, რო-მელთაგან ერთი ნესტორ აბდიბა იყო. ნესტორს ჭირივით სძულდა მარ-ლანია. დღეს თქალდასანახათ შეძულ-და. ცხენის მარცხის გამო.

მურზაყანმა ყური მოჰკრა აბდიბას ქარაგმას და ჩუმად გაიღიმა.

გაახორჩეს ყანწები.

თავს ველარ ართმეჩენ წამოკრულ სადღეგრძელოებს.

მარლანია თვალბეზბეზილი მი შტერობრა მშვენიერ ადილხანს, ას-ლოკინებს და გაცეცხილ ქათანაუ-რებს ოშნოდ ბლუკინებს.

წარჩინებულნი სიცილს ველარ იმა-გრებენ. საქამოზე ხელჩაქიდებულ-ნი იგულებიან.

გალმა დამრეცხე 'შვლის ნუკრმა ჩამორბა.ხა. დაფიქრებული თვალე-ბით დახოცელ ნადირს მიაშტერისა და გულშემზარავი ხაველი მორათო. ჩრვილი იყო ნუკრი, დაღმართხე თავს ძლიერს ამბავრებდა.

აბღიბამ ნუკრზე მიუთითა წარჩინებულეებს. მარღანია, ნუკრის რანახავაზე გამოფხზილდა და თოფს ხელი დაატანა. — არვირ გაბედოს. — შკვახედ სთქვა შერვაშიძემ და შუბლი შეიკრა.

ხმაურობაზე ნუკრი შეკრთა. ტყის კენ შეტრიალდა. ერთხელო უკან მიიხედა და გულამოსკენით დაიხველა. აბღიბას გული აუჩუყდა და მოწოლალი ცრემლები ვეღარ შეიმაგრა.

გაუკვირდათ მოსუცის საქციელი. შერვაშიძემ თვალი მოარღია მოხუცის ცრემლებს და ავსებული ყანწი გადაღვარა.

აბღიბას „ნუკრი“ ამ დროს თე-

თუნს მარგლიდა ტრაპიზონის მიდამოებში. შვიდი წელიწადია აბღიბას შვილი არ უნახავს. ბევრიც რომ გასძლოს შვილს მაინც ვერაფერს ვერაფეროვროვროცის საცხენე-წინისაბიხილავს ამიერიდან დაკარგულ დედას.

აბღიბას ცრემლები გირავინ ვერ გაიგო. ვინ იფიქრებდა, რომ თბლად დარჩენილ ნუკრის დანახავაზე, აბღიბას შვიდი წლის წინად მონად გაყიდული შვილი მოაგონდებოდა?!

# კინო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაზე

თანამედროვე კინემატოგრაფიის საწყისად ჯადოფანარია ცნობილი. საქართველოში 1900 წლამდე არამც თუ კინოს, არამედ უბრალო ჯადოფანარის შესახებაც არაფერი იცოდნენ. სწორედ ამ წელს პირველად ერთმა ფოტოს მოყვარულმა დავით დიდმელმა იყიდა მოსკოვის ფირმა შვაბსაგან ჯადოფანარი მთელი თავისი მოწყობილობით. ამავე დროს დ. დიდმელმა იყიდა ძმ. ლუმიერების კინო-აპარატი და რამდენიმე ათეული ლენტი თითო 20-35 მეტრის სიგრძისა. შინაარსი ამ ლენტებისა ყოველად პრიმიტიული იყო: ტვირთის გადაზიდვა, ბანაობა პლიაჟზე, მატარებლის მოხელა სადგურზე და სხვ. დაიწყო ამ პრიმიტიული სურათების ექსპლუატაცია და დ. დიდმელი თავის შვილით ა. დიდმელით (ესხლა ცნობილი კინო-ოპერატორი სანკინბრეწვეში) გაემგზავრა საგასტროლოდ „ჯეკ მორისის“ ფსევდონიმით საქართველოს ყველა ქალაქებში.

მაგრამ ამაზე საქმე არ შეჩერდებოდა. კინემატოგრაფი ჩქარი ტემპით ჯადოფანარების ადგილს იკავებდა. ტფილისში გაჩნდნენ გასტროლოგები, რომელთაც თან ჩამოქონდათ მრავალი სხვადასხვა შინაარსის კინო-სურათები და 1904 წელში ტფილისში უფვე გაიხსნა პირველი მუდმივი „კინო-ილუზიონი“ ივანიცკაია და როზეტისა ესხლანდელ რუსთაველის პრ. (სადაც ესხლა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას შენობა). მალე ივანიცკაია გამოეყო როზეტის და ცალკე „კინო-ილუზიონი“ გააწა იმავე ქუჩაზე, სადაც ესხლა შინხანის ფოტოგრაფია. ამ შენობაში იყო პატარა ელექტრო-სადგური, რომელიც ენერჯიას აძლევდა ევანიცკაიას „კინო-ილუზიონს“. მაგრამ ეს თბლ ელექტრო-სადგური გაჩრდა და კინო-ილუზიონმა შესწყვიტა მუშობა. ივანიცკაიამ დაზარებისათვის მიმართა ახალგაზრდა კინო-სპეციალისტს ალექ. დიდმელს, რომელმაც შესძლო ელექტრო-ენერჯიას მიღებამდე მუშაობის განათების გამოყენება. ამრიგად კინო-სეანსები არ შესწყდა და ივანიცკაიამ აიყვანა მუდმივ საშუალოზე ა. დიდმელი, როგორც კინო-მეცნიერი-დემონსტრატორი. რა სურათებს უჩვენებდნენ 1904 წელში და შემდეგ? ეს იყო პატარა მელოდრამები, კომედიები, ფანტასტიკური და კომიკური სურათები სიგრძით არა უმეტეს 500 მეტრისა თვითიული. 1905 წელში ივანიცკაიამ მაშინდელი მუშ-

ტიდის ბაღში ააშენა კინო-სეანსებისათვის საზაფხულო შენობა.

ასე გადიოდნენ წლები. ტფილისში გაიხსნა კიდევ სხვა კინო-თეატრები, მაგრამ არავინ ფიქრობდა საკუთარი კინო-წარმოების, შექმნაზე, სანამ ისევ იმავე ივანიცკაიამ არ ჩამოიტანა მოსკოვიდან „პატეს“ აპარატი, ასლების გადამღები აპარატი და რამდენიმე კიუვეტი ფირის გადამუშავებისათვის. ამრიგად შეიქმნა შესაძლებლობა საკუთარი კინო-გადაღებების მოწყობისათვის და ა. დიდმელი შეუდგა ადგილობრივი ქრონიკის გადაღებას. ცოტა ხნის შემდეგ ტფილისის კინო-თეატრების ეკრანზე პირველად იქნა ნაჩვენები „გაზაფხულის დრო“ საკუთარი წარმოების ქრონიკა. ეს იყო 1910 წელში. შემდეგ კი საქართველოში პირველმა კინო-ოპერატორმა და ლაბორანტმა ა. დიდმელმა გადაიღო ლალო მესხიშვილის იუბილე, რძის ფერმა ბაკურიანში, „მცხეთობა“, ნადირობა ყარაჯაში და სხვ. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ეს პირველი კინო-პროდუქცია იმდენად დამაკმაყოფილებელი იყო, რომ „ძმ. პატეს“ მოსკოვის განყოფილება დიდის სიამოვნებით ლეზულობდა ამ ნეგატივებს სახელგანთქულ „პატე-ფუნალისათვის“ პარიზში.

1918 წელს ესხლანდელ „კინო-ოქტომბრის“ (ყოფ. აპოლო) შენობაში მოეწყო პირველი კინო-ლაბორატორია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერ-კავკასიაშიც. რას წარმოადგენდა ეს „კინო-ლაბორატორია“? ორსართულიანი ფიქრისა არა უმეტეს 2-ნახ. 4 მეტრის, ოთახს, რომელიც კინო-თეატრს „აპოლოს“ ეკრანის ჯვან იმყოფებოდა. ამ პატარა სივრცეზე იმყოფებოდა შესაღები, გამრეცხავი, ასლების გადამღები და სხვ. „განყოფილება“!.. აქვე გვერდით — საშობი ბარაბანი 250 მეტრისა, ჭერქვეშ კი რკინის ბაკი 200 ვედრის წყლის მარაგი. ლაბორატორიის ინვენტარი: 5 კიუვეტი, 10 ჩარჩო (თითო 20 მეტრი) ასლების გადამღები აპარატი „პატე“, სსწორი, ორი ბოთლი და ვედრო... ეს ყველაფერი ზევითა სართულში, ქვემოთ კი — „სპაროქციო“ ეკრანი, რომლის სიდიდე საწერ ქალაქის ერთ ფურცელს არ აღემატებოდა! ასეთი იყო პირველი კინო-ლაბორატორია საქართველოში. რა სამუშაოს აწარმოებდა იგი მაშინ? იმ დროს კინო-სურათებს იძენდა და

შემდეგ აქირავებდა მათ მთელ ამიერ-კავკასიაში და საშუალო აზიაშიც ვინმე კომერსანტი პირონე. და აი ამ ნაყიდ კინო-სურათების ხელახალი დამონტაჟება და მათთვის ახალი წარწერების დამზადება ხდებოდა ა. დიდმელის „კინო-ლაბორატორიაში“.

ცნობილია, რომ მენშევიკების ეკონომიური პოლიტიკა კერძო კაპიტალისტური მეურნეობის და უცხო კაპიტალის ყოველწორივე ხელის შეწყობაზე იყო დამყარებული, ამიტომ შესძლო უცხო კაპიტალისტმა პირონემ თავისი საკუთარი კინო-წარმოების ორგანიზაცია. 1919 წელს მან მოიწვია რეჟისორი ვ. ბარსკი, რომელმაც ოპერატორ დიდმელის დახმარებით გადაიღო პირველი მხატვრული კინო-სურათი „თავიჯივეთილი გვამი“ ექვს ნაწილად. ამავე წელს გადაიღეს სუთნაწილიანი მხატვრული კინო-სურათი „შოპენის ნოქტიურნი“ და პატარა კომედია „ნუ გინდავს“ ორ ნაწილად. ვინიდან ატლელ არ არსებობდა, გადაღებანი სწარმოებდა კინო-თეატრ „აპოლოს“ ფიქრში და კანტორაში ოთხი „იუბიტირის“ საშვალებით. კაპიტალისტ პირონემ განზრახა საქმის ფართედ და უფრო სერიოზულად დაეყენებ, რისთვისაც დაიჭირა პლენხანოვის პრ. რამდენიმე დარბაზი, სადაც იმყოფებოდა იმ დროს განკევიჩის სახელოსნო. დარბაზების შორის არსებული კედლები მოიხსნა და ამ რიგად 1919 წელს მოეწყო კინო-ატლელი იქ სადაც ესხლა სახელოსნოს შენობა. ამ ახლად მოწყობილ ატლელი რეჟ. სიმოგმა გადაიღო კინო-სურათი „ცეცხლისთავანის მც. ელები“ (ოპერატორი ა. დიდმელი). ყველა ზემოაღნიშნულ სურათების სიუჟეტებს არავფერი საერთო არ ქონდათ ქართულ ყოფა-ცხოვრებასთან ან ისტორიასთან. ამიტომ მენშევიკებმა მოინდომეს კულტური „ნაციონალური“ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კინო-წარმოების შექმნა, რა უნდაც 1920 წელს პირონისაგან შეიქმნა მთელი კინო-წარმოება 7.500 ათასი მან. ბონებით. დირექტორად დაინიშნა გერმ. გოვიტიძე და მოასწრეს კიდევაც ერთი კინო-სურათის გადაღება. ეს იყო „ქრისტიანი“ ა. წაუწუნავს მიერ გადაღებული. მაგრამ ამით შეწყდა მენშევიკური „კინო-წარმოება“, რადგან 25 თებერვლს 1921 წელს შესწყდა სამუდამოდ პათი ფარღაშვიცი.

# მოსკოლი მკითხველის შენიშვნები



## 1. შესავალი

ეს წერილი არც გამოკვლევაა და არც მიძიხილება. აქ იმ სარეველა ბალახზე უნდა ვილაპარაკოთ, რომელიც ხანდისხან კიდევ გვხვდება ჩვენს ლიტერატურაში.

ერთმა პოეტმა გელარ გაუძლო სინდისის ქეჯნას და სთქვა:

«Как гибнет бумага во цвете лет,  
Как мучат ее, как кричит она»...

ცრუობს ეს პოეტი. სჯდება. უბედურება იმაშია, რომ ქალაქი ვერ ყვირის, თორემ ამდენხანს რა ფაჩუ-მებდა!

## 2. ახალი აღმოჩენა

სანდრო ეულმა ისეთი განსაცვიფრებელი აღმოჩენა მოახდინა, რაც დღემდე სიზმრადაც კი არ მოლანდებია არც ერთ მომავლადის. ის სწერს:

„გავიდა ცეცხლით ავსებულ  
გულით  
და ბინად ნახა მინდორად  
კარავი  
სად მუშებიან ცელით და  
ცულით  
და სად მენავე დასჯურავს  
ნავით“.

ნუ გავიკვირდებით: მინდორში უშიშლდება ნავით ცურვა, წარმოი-დგინეთ გრცელი მინდორი, ზედ მი-სცურავს ნავი, მენავე მარჯვეთ უსვამს ნიჩბებს ბალახებში და ქვებ-ში; აქეთ გზის პირზე დგანან გლეხები და იძახიან:—მენავე, გამოდი ამ ნაპირზე, მეორე მხარეს გვინდა გასვლა და ივიშველე რამეო.

## 3. დიალოგი და მონოლოგი

ქვემოლმოყვანილი დიალოგი, როგორც მე მგონია გამოდგება ქრესტომატიანში შესატანათ:

- „ორი მანეთი.
- მანეთ-ნახევარი.
- ათი შაური.
- სამი აბაზი.
- ექვსი შაური“.

ესლა ვნახოთ ამავე ავტორის მონოლოგი, რომელიც გამოხატავს გმირის ღრმა ფსიქოლოგიურ განცდებს:

- „მიყვარს“
- „მძულს“.
- „მძულს“.
- „მიყვარს“
- „რისთვის იყიყვარს.
- „რისთვის გძულს“.

ეს დიალოგი და მონოლოგი ამო-ღებულა გ. ბააზოვის რომანიდან:

## 4. ცხენოსნობის საუკეთესო სპეციალისტი

კონსტანტინე გამსახურდიამ დას-წერა წერილი ტოლსტოის შესახებ, ამ წერილში ის ამბობდა:

„ჰაჯი-მურატი, ჩემის აზრით, ტოლსტოის ქმნილებათა შედეგია.

მხოლოდ დიდი დამკვირვებელი და ეპიკოსი თუ შენიშნავდა ასეთ წერილს უცხო ერის ყოფაცხოვრებაში: „ჰაჯი-მურატი ცხენიდან ჩამოხტა—იგი ოდნავ მოიკოჭოიბდა და ისე მოდიოდა“. ვინც კავკასურ უნაგირზე არ ტყდარა, შესაძლოა მან ვერც გაიგოს, რატომ მოიკოჭ-ლებდა პირველ ნაბიჯების გადად-გმაზე ახლად დაქვეითებული მხე-დარი“?

რას ამტკიცებს ეს? ამტკიცებს ჯერ ერთი იმას, რომ გამსახურდიას „ჰაჯი-მურატი“ წაკითხული არა ჰქონია. მან არ იცის, რომ ჰაჯი-მურატი კოჭლი იყო. აქ გავკასიური უნაგირი არაფერ შუაშია და სხვა-თაშორის, წინააღმდეგ ავტორის აზრისა, რუსულ უნაგირზე უფრო ნაკლებად ჰლდის მხედარს. შეიძვე: დალლილობა სხვა არის და კოჭლო-ბა სხვა. აი თვით ტოლსტოი რას ათქმევინებს თავის გმირს:

„ჩვენ მივდიოდით მოკსოხის მა-ხლობლად, ბილიკი იყო ვიწრო, მარჯვნივ იყო კლდე ასე ორმოცდაათი საყენის სიმაღლე. მე მოვიქეცი სალ-დათს მარჯვენა ძხრიდან, კლდის ნა-პირისკენ. სალდათმა მობინდომა ჩე-მი შეჩერება, მაგრამ მე გადავხტი კლდისაკენ და თან გადავითრიე იგი. სალდათი მოკვდა, იმი კი ცოც-ხალი გადავრჩი. გვერდიბი, თავი, ხელები, ფეხები—ყველაფერი ჩაღე-წილი მქონდა. გამიბრუყვდა თავი, ჩამეძინა. გამეღვიძა, მთლად სველი ვარ სისხლით. მწყესმა რამინახა დაუძახა ხალხს, წამიღეს აკლში. გვერდები, თავი მომიჩრა, მომიჩრა ფეხებ. მაგრამ დამოკლდა.

და ჰაჯი-მურატი გამოსწია თავის გამრუდებული ფეხებით (XIII).

აი რატომ კოჭლობდა ჰაჯი-მურატი! მე-XXIII ათეში კიდევ ვკითხულობთ: „ამ აზრებმა ისე ააღელ-ვეს ჰაჯი-მურატი, რომ მან გელარ შესძლო მეტ ხანს ჯდომა. ის წამო-ხტა და კოჭლობით საჩქაროდ მივი-და კართან, გაალო და დაუძახა ელ-დარს“.

კომენტარიები საჭირო აღარ არის;


## 5. თავისებური უზუნურობა

ზოგიერთ პოეტს ძალიან უძნელ-დება თავისი აზრის გამოთქმა, მოი-ფიქრებს რამე აზრს, მაგრამ მას ისეთი საშინელი ფორმით გადმოგ-ცევს, რომ ლექსს აზრი ეცვლება. სერიოზული დაფიქრება და ლექსის კულტურაა საჭირო ისეთ უაღრეს-სად დიდებულ თემის შესახებ, რო-გორიც არის ლენინის ცხოვრება. ერთი პოეტი კი აი რას სწერს:


„ჩვენს ბელაის ყიდვიან ორას  
ათასად  
და ჯამუშები ყიიოგან  
დაგემეს  
ვინც გაიმეტებს ბელადს აზ  
ფასად  
მუშათა რიცხვი ტყვიებს  
დაუშენს“.

ე. ი. გამოდის, რომ გაყიდვის წინააღმდეგი არც თვითონ არი, მაგ-რამ ფასი ეცოტავება. ამის თქმა რასაკვირავლია მას არ უნდოდა, მაგრამ ორი სიტყვა ვერ გადააბა ერთი-მეორეზე ხეირიანად და ამი-ტომ ასეთ შედეგამდე მივიდა.

**მოსკოლი მკითხველი.**



წითელი ჰარავნაი პურის მიღება პუნბთან



წყლის ახალი აუზი შადრევანით  
პლენარის პროსპექტზე კინო დამკვერფლის გვერდით



მაუდის ფაბრიკის საფაბრიკო-საქარხნო სკოლა  
მაუდის ფაბრიკის საფაბრიკო საქარხნო სკოლა ამჟამად ახალ კვალიფიციურ ძალებს  
სწრბათ: მასწავლებელი აშს. ახვლედიანი უხსნის მოწაფეებს საქსოვი დაზვის მო-  
წყობილებას.



მოსახლეობის მილიტარიზაცია იაკონიაში